საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

კვირა 5 სექტემბერი 1920 წ.

ერთობა

ფასი 10 მანეთი

გაზეთი ღირს თვეში 250 მანეთი. ცალკე ნომერი ყველგან 10 მანეთი განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 15 მანეთი. მეოთხე გვერდზე 10 მანეთი სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომის (15 × 2) 300 მანეთი ნისიათ განცხადება არ დაიბეჭდება. რედაქცია და კანტორა იმყოფება ერთობის ქ. № 4. შესახვევი რუსთაველის ქუჩი № 18-თან. ტელეფონი 16—62

№ 202 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 202

ქ. ლანჩხუთში არსდება ბ-ნ ფინანსთა მინისტრის ნებართვით

გურიის სავაჭრო კომერციული ბანკი

რომლის ძირითადი თანხა არის ორი მილიონი მან. თითო აქცია ღირს 1000 მან. და საორგანიზაციო ხარჯების დასაფარავად 50 მან. ერთი ხმის უფლებას ანიჭებს 5 აქცია. ამ თავითვე შემოტანილ უნდა იქმნას აქციის ნახევარი ღირებულება 550 მან. და საორგანიზაციო ხარჯებისთვის 50 მან. ე. ი. 550 მან. თითო აქციაზე.

საზოგადო ოფიციალური ხელის მოწერა აქციებზე და ფულის შემოტანა დანიშნულია: 6—ორშაბათს, 7—სამშაბათს, 8—ოთხშაბათს, 9—ხუთშაბათს, და 10—პარასკევს ამა სექტემბერს. ლანჩხუთში: საურთიერთო ბანკში. თფილისში: ცენტრო-ბანკში. ქუთაისში: ვლადიმერ იაგორის ძე გვარჯალაძესთან. ფოთში: ერმალო ბოლქვაძესთან. ბათომში: მოსე იაგორის ძე გვარჯალაძესთან. ოზურგეთში: ედიხვან თოდიძესთან. სამტრედიაში: სიმონ სპირიდონის ძე ქართველიშვილთან. და სუფსაში კონსტანტინე ჭანტურიასთან. ყოველივე შეკითხვის გამოგზავნა შეიძლება ლანჩ. საურთ. ბანკში.

გურიის სავაჭრო ბანკის საორგ. კომიტეტი. (2723—5—3)

საქართველოს სოც.-დემ. მუშათა პარტიის
ცენტრალური კომიტეტი
მოთავსებულია ერთობის ქ. № 4, მესამე სართული. შესახვევი რუსთაველის ქუჩიდან № 18, ტელ. 11—79

გულ დათუთქულნი და მუდამ მწუხარებაში მყოფნი გიორგი (გოგი) და ლადიკო (ლადო) ბათლომესძე პერტაიები გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ რომ მათთვის საყვარელ და დაუვიწყარ დედის

ჯაოზის

სულის მოსახსენებლად. კვირას, 5 სექტემბერს, ორმოცი დღის შესრულების გამო ქ. ლანჩხუთში, წმ. გიორგის ეკლესიაში გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი. (2885—1—1)

ღრმად დამწუხრებულნი მშობლები: ყარამან ანტონისძე ავანელიძე და ოლიჩქა ანტონ კუხიანიძის ასული, დები: ვენერა, თამარა და გოგუცა, ძმები: გრიშა, პეპუა. ბიძა ხარიტონ, ბიძაშვილი ქსენია, მამიდა: ტერეზი, მართა და ელისაბედი, ბაბუა ანტონ, ბებია მართა—დეიდა საშა, ჯუმადია ლადიკო ცინცაძე—ვაუწყებთ ნაცნობ მეგობრებს, გარდაცვალებას ფოთის სახელოსნო მე 3 კლასის მოწაფის

ასლან (არსენ) ყარამანის-ძე ავანელიძე

დაბადებიდან 18 წლის.

გადახდილ იქნება მე-40 ე დღის აღსანიშნავად წირვა და პანაშვიდი—სექტემბრის (ახალი სტ.) 5-ს კვირას დილით ათ საათზე. ონჯოქეთის წ. გ. ეკლესიაში (ერკეთი). (2889—1—1)

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე ნეოფიტე ჭეიშვილი, ძმა კალე ქავთარაძე, დედა ელისაბედ, და მაია ლომიძე [illegible] ვაუწყებთ ნათესავთ და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველის უსაყვარლესი მეუღლის, მეორის დის დანარჩენის რძლის

სონიას გიორგის ასულის ჭეიშვილისას

დასაფლავება მოხდება კვირას 5 ენკენისთვეს, დაბა ნაგომარში. (ფ. 1—1)

ღრმად დამწუხრებული მეუღლე სამსონ დავითისძე კილაძე, შვილები: დარიკო, მარგალიტა, ლევანი, არკადი მშობლები: პორფილე და ოლღა ქებულაძეები, სიძე ფილიპე ხულაძე, ვაუწყებთ ნათესავთ ნაცნობებს რომ სამშაბათს 7 სექტემბერს გვაქვს დანიშნული გარდაცვალებიდან ექვსი თვის თავზედ წირვა და პანაშვიდი დაუვიწყარი

სონასი

სულის მოსახსენებლად. (ფ. 1—1)

განსაკუთრებულად შემდგარი დამკრძალავი კომიტეტი ამით აუწყებს რომ გარდაცვალებულ ცნობილ საზოგადო მოღვაწის

ილია ივანეს-ძე წინამძღვრიშვილის

წირვა და პანაშვიდი გადახდილ იქნება კვირას დილის 10 საათზედ ქვაშვეთის ეკლესიაში რომლის შემდეგ წარმოითქმება სიტყვები. ორშაბათს დილის 9 საათზედ მცირე პანაშვიდის შემდეგ მიცვალებულს გაასვენებენ ს. წინამძღვრიანთ კარში და სამშაბათს 7 სექტემბერს დაასაფლავებენ მისგან დაარსებულ სასწავლებლის ეზოში. (2897—1—1)

სრულიად საქართველოს მეღვინე—მევენახეთა ყრილობათა საბჭო გულის მწუხარებით აუწყებს სასიქადულო მამულიშვილის მცხოვან მოღვაწის

ილია ივანესძე წინამძღვრიშვილის

გარდაცვალებას. წირვა და პანაშვიდი კვირას დილის 10 საათზე ქვაშვეთის ეკლესიაში. (2897—1—1)

ჩვენ მშობლები: ანდრო გაბუნია მეუღლითურთ უღრმეს მადლობას ვუძღვნით პატივცემულ საზოგადოებას უდროოდ გარდაცვალებულ შვილის

ნინოს

დაკრძალვაში მონაწილეობის მიღებისათვის, როგორც პირადათ ისე წერილობით: განსაკუთრებულ მადლობას უცხადებთ პოლკოვნიკ ჟუროულს, სამხედრო მუსიკის დათმობისათვის, მთელ სამხედრო მუსიკის შემადგენლობას, ამხანაგებს, რომელთაც დიდი პატივი სცეს განსვენებულ ნინას ცხედარს, და იმ ახალგაზრდებს, რომელთაც პიანურზე და როიალზე დაკვრით უკანასკნელათ პატივი სცეს უდროოთ გამოსალმებულ ახალგაზდა სიცოცხლეს. (2895—1—1)

კომანდირი, ოფიცრები, ჯ.-კაცნი და მოსამსახურენი საავიაციო რაზმისა აუწყებენ რომ ორშაბათს 6 სექტემბერს გარდაცვალების 9 დღეს დიდუბის ეკლესიაში გადახდილ იქნება პანაშვიდი დაუვიწყარ სამხედრო მფრინავ

პროკლე თედორეს ძე კილტავას

საფლავზე. (2899—1—1)

ქართული სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება აუწყებს თავის წევრთ, რომ 2 სექტემბერს გარდაიცვალა საზოგადოების საპატიო წევრთ მცხოვანი მოღვაწე

ილია ივანეს ძე წინამძღვარიშვილი

წირვა და წირვის შემდეგ პანაშვიდი გადახდილ იქნება ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში კვირას, 5 სექტემბერს, დილის 10 საათზე ცხედარს გაასვენებენ ორშაბათს, 6 სექტემბერს, დილის 9 საათზე, მცირე პანაშვიდის შემდეგ, ქვაშვეთის ეკლესიიდან სოფ. წინამძღვრიანთ—კარში, სადაც მოხდება დაკრძალვა სამშაბათს, 7 სექტემბერს. (2900—1—1)

კვირას 5 სექტემბერს დანიშნულია წირვა და პანაშვიდი ქვაშვეთის ეკლესიაში შუადღის 12 საათზე ტრაღიკულად გარდაცვალებულის დამფუძნებელი კრების კანცელარიის მოსამსახურის

ვერა საღარაძის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ მეგობრებს და ნაცნობთ მისი თანამშრომელნი. (2901—1—1)

ჩაქვის სახელმწიფო მამულის სამმართველო

ამით აცხადებს, რომ მას აქვს გამოსატანი საკუთარი ტყიდან 500 კუბ. საჟენამდე გამხმარი შარშანდელი მოჭრილი შეშა. ამა წლის 12 სექტემბერს დღის 12 საათზე დანიშნულია ხელმეორედ სად. ჩაქვში სამმართველოს ბინაზე

საჯარო შეჯიბრება

ცნობების მიღება შეიძლება თფილისში, მიწათ-მოქმედების სამინისტროს სახელმწიფო მამულთა განყოფილებაში დილის 9—1 საათამდე და სად. ჩაქვში მამულის სამმართველო კანცელარიაში ყოველდღე.

სად. ჩაქვი. გამგეობა, (2870 4—2)

რაჭაში საჭიროა
უმაღლეს დაწყებითი სასწავლებლებში გამგეები და მასწავლებლები

საჭიროა აგრეთვე

ექიმები და ვეტერინარები

ჯამაგირები შეთანხმებით, განცხადებები უნდა გამოგზავნოს ქ. ონში ერობის გამგეობის სახელზე. (2849 3—4)

მიმდინარე წლის 1 ოქტომბერს. თფილისის ტან-ვარჯიშოთა საზოგადოება

„შევარდენში"

განათლების სამინისტროს ნება დართვით, გაიხსნება 8 თვიანი უფასო ქართული

ტან-ვარჯიშული სკოლა

სკოლაში მიიღება ორივე სქესის პირები, საშუალო განათლებით აღჭურვილნი, არა უმცირესნი 18 წლისა და ჯანსაღნი. დარჩენილ თავისუფალ ადგილებზე შეიძლება ჩაირიცხონ საშუალო სასწავლ. 6 კლასის და ბოლოს 4 კლასის კურსდამთავრებულნი. სწავლა იწარმოებს დილის 8 ს. 1-ლ საათამდე.

ყველა კურს დამთავრებულთ მიეცემათ შტატის ადგილი ტან-ვარჯიშობის მასწავლებლისა რესპუბლიკის სასწავლებლებში.

თხოვნები, სასწავლებელში ჩარიცხვის შესახებ მიიღება ყოველ დღე დილის 12-დან 1-ლ საათამდე, არა უგვიანეს 15 სექტემბრისა, განათლების სამინისტროში ტან-ვარჯიშობის მთავარ ინსტრუქტორის სახელზე. თხოვნასთან უნდა იქნას წარმოდგენილი მოწმობები: 1) განათლების შესახებ და 2) მეტრიკული.

სწავლის დაწყებამდე ყველა მსმენელები გასინჯულ იქნებიან ექიმის მიერ.

ტანვარჯიშობის მთავარი ინსტრუქტორი. (ნ. 6—5)

სამტრედიის ქალაქის გამგეობა

იწვევს ექიმ-დოსტაქარს, რომელმაც აგრეთვე უნდა იკისროს ქალაქის საავამყოფოს გამგეობა.

(კურიკულუმ ვიტე) და პირობები ვთხოვთ წარმოადგინონ ქალ. სამტრედიის გამგობაში. **გამგეობა.** (2859—3—2)

ამა წლის 10 ენკენისთვეს მიწად-მოქმედების სამინისტროს სახელმწიფო მამულთა განყოფილებაში (თფილისი მთავრობის სახლი, ყოფილი კადეტთა კორპუსი) დილის 12 საათზე

საჯარო ვაჭრობით გაიყიდება

სახელმწიფო მამულების მიმდინარე წლის მოსავლის

ჭაჭა

განმეორებით ვაჭრობა მოხდება 12 ენკენისთვეს ცნობების მიღება შეიძლება ყოველდღე სახელმწიფო მამულთა განყოფილებაში და ადგილობრივ მამულებშიც.

ვაჭრობა დაიწყება ფუთი 150 მანეთიდან.

მსურველთ შეუძლია წარმოადგინონ დახურული პაკეტიც

სახელმწიფო მამულთა განყოფილება. (2850 2—2)

ფრანგული ლიცეი თფილისში

რომელიც დამტკიცებულია და სუფსიდიას ღებულობს საქართველოს და საფრანგეთის მთავრობისაგან. პარიზის ლიცეების პროგრამით. წლიური სწავლის ფასი 8000 მ., აქედან 1000 მ. შეტანილი უნდა იქნას ჩაწერის დროს. საქართველოს რესპუბლიკის ქვეშევრდომ ღარიბ მოწაფეთათვის სწავლის ფასი დაკლებული იქნება საქართველოს მთავრობის ხარჯზე. ბავშვები მიიღება განურჩევლად სქესისა; მოსამზადებელ კლასში გამოუცდელად. I კლასში მიღების დროს უპირატესობა მიეცემა—ვისაც ექნება მოწმობა პირველ დაწყებით სასწ. 4 კლ. დასრულების შესახებ. ვისაც მოწმობა არ ექნება მიიღება გამოცდით. 2, 3 და 4 კლასებთან სპეციალურად მოწყობილი იქნება განყოფილებანი, იმათთვის, ვინც ფრანგულ ენაში სუსტი.

ლიცეი გაიხსნება მიმდინარე წლის 1 ოქტომბერს.

ჩაწერა ყოველ დღე საღამოს 5—7 საათ. უმაღლეს ფრანგულ კურსების დირექციასთან, რტიშჩევის ქ. № 22. (2643—4—4)

---

8 ენკენისთვეს არის დანიშნული
ს. ს.-დ. მ. პ. თფილისის სამაზრო კომიტეტის სხდომა.

განსახილველია შემდეგი საკითხები: 1) მოხსენება ცე—კიდგან. 2) მოხსენება პრეზიდ—სა, 3) პარტ—ული მუშაობა, 4) მიმდინარე საკითხები. კომიტეტის წევრების დასწრება აუცილებელია.

პრეზიდიუმი. (ნ. 3—1)

მიმდინარე წლის 1 სექტემბრიდან თფილისის ცენტრალურ შენობაში (პლეხანოვის პროსპ.) გაიხსნა

ფოსტა-ტელეგრაფის კურსები

სადაც ამზადებენ ფოსტა ტელეგრაფის ყველა სპეციალობის მოხელეებს. კურსებზე მიიღება საქართველოს ყოველი ქართული ენის კარგათ მცოდნე მოქალაქე 18 წლიდან 25 წლამდე, რომელიც 15 სექტემბრამდე შემოიტანს თხოვნას ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველოში შემდეგი მოწმობებით: 1) განათლების არა ნაკლებ უმაღლეს პირვ. დაწყებითი სასწავლებლის მთელი კურსისა), 2) დაბადების მეტრიკას, 3) ჯანმრთელობის (საერობო ან საქალაქო ექიმებისაგან) 4) ორი შემოწმებული ფოტოგრაფიული სურათი. კურსებზე და პრაქტიკული მეცადინეობა გაგრძელდება ერთი წელიწადი. მოწაფეებს მიეცემათ უწყების სტიპენდია თვითეულს თვეში 1000 მანეთი. მოწაფეები კურსების ღირსეულად დამთავრებისთანავე ჩაირიცხებიან სახელმწიფო სამსახურში. (ნ. 3—1)

მიწათ-მოქმედების სამინისტროს აგრარულ რეფორმათა განყოფილება

იწვევს საგრარო კომისიების მდივნების თანამდებობაზე გამოცდილ პირებს, გორის, სიღნაღის და თელავის მაზრებისათვის. ჯამაგირი—თვეში 6850 მან. თხოვნები მიიღება მიწათ-მოქმედების სამინისტროს აგრარულ რეფორმათა განყოფილებაში. (ნ. 1—1)

მეორე ქართული კლუბი

ორშაბათს, 6 ენკენისთვეს

წარმოდგენა-კონცერტი

საუკეთესო ძალების მონაწილეობით.

შესვლა წარმოდგენა-კონცერტზე უფასოა. დასაწყისი საღამოს 9 საათზე. (ნ. 1—1).

ქართული დრამის დირექცია

იწვევს თანამშრომელთ ქალ—ვაჟებს გამოცდა მოხდება ოთხშაბათს 21 სექტემბერს დილის 10 საათზე ქართული დრამის თეატრის სცენაზე (ყოფილ არტისტ. საზოგადოების თეატრი) პირობების გაგება იქვე ყოველ დღე დღის 2—2½ საათამდე. სამხატვრო ნაწილის გამგე—დირექტორთან. (ნ. 4—1)

მეორე ქართული კლუბის მამასახლისთა საბჭო

ამით აუწყებს კლუბის წევრთ რომ კვირას, 5 ენკენისთვეს დილის 10 საათზედ დანიშნულია

საგანგებო კრება

დღიური წესრიგი: საზამთრო ბინის საკითხი, თუ კრება არ შესდგა დილის 10 საათზედ, **მეორე კრება.** დანიშნულია ამავე რიცხვს დილის 11 საათზედ. (ნ. 1—1)

ლეჩხუმში საჭიროა
ექიმები და ვეტერინარები. აგრონომი და ტეხნიკი.

ჯამაგირები შეთანხმებით, განცხადებები უნდა გამოიგზავნოს დ. ცაგერში ერობის გამგეობის სახელზე. (2894—3—1).

„ეშმაკის მათრახი"-ს

მორიგი (41) ნომერი უქაღალდობის გამო ვეღარ გამოდის, რედაქცია ყოველ ღონისძიებას იხმარს ჟურნალის გამოცემის განსაახლებლად. (2—2)

ინსტრუქტორს

ქალაქის პირველ დაწყებითი სკოლებისათვის იწვევს სამტრედიის ქალაქის გამგეობა კურიკულუმ ვიტე და პირობები წარმოდგენილ უნდა იქნეს სამტრედიის ქალაქის გამგეობაში **გამგეობა.** (2869—3—2)

პირველ ხარისხის რესტორანი
„ბომონდი"

ნეკრასოვის და ელისაბედის ქუ. ქუთხე. რომელიც რამოდენიმე წელი დაკეტილი არის ამ დღეებში გაიხსნება. **შრომის ჯგუფი.** (2881—2—2)

თბილისის სახელმწიფო საშუალო კულტურ-ტეხნიკური სასწავლებელი

ამ წლის სექტემბრიდან გადაკეთდება საშუალო სასოფლო სამეურნეო სასწავლებლათ, რომელს ექნება ხუთი განყოფილება: 1) მემინდვრეობა, 2) მებაღობა, 3) მესაქონლობა, 4) მეტყეობა და 5) სასოფლო სამეურნეო გიდროტეხნიკა. 19—20—21 წელში გადაკეთებულ იქნება მხოლოთ პირველი კლასი, სადაც მიღებულ იქნებიან ორთავე სქესის 15—18 წლის ახალგაზრდანი, რომელთაც გაუთავებიათ უმაღლესი პირველ დაწყებითი სასწავლებელი ან ოთხკლასიანი პროგიმნაზია და ან გამოცდით ზემოხსენებული სასწავლებლების პროგრამების მიხედვით: სწავლა იქნება ქართულად; არაქართველებისათვის იქნება პარალელური განყოფილება თხოვნების მიღება თხუთმეტ სექტემბრამდე. გამოცდა თხუთმეტიდან ოცამდე დაწვრილებით სასწავლებელში—ალექსანდროვის ქ. 57.

(2865—3—2) **დირექტორი ივ. გამყრელიძე.**

იყიდება
ორ სართულიანი სახლი რესტორანით.
ბრიგადის ქუჩა № 6, ვაგზლის ახლოს.
(1887—1—1).

ქუთაისში დაბრუნდა ექიმი
მ. ი. ვოლოხი
და განაახლა მიღება ქალ. შინაგ. და ვენერ. ავათმყოფებისა. მიღება დილის 10—12 საათ. და საღ. 4—7-დის, ფრანგების მოედანი № 33.
(2614—თ.)

დღეს

ბალტიის ზღვაში გაგზავნილ ამერიკის ესკადრას სარდლობს კონტრ-ადმირალი რუზე.

ბალშევიკების ცნობით ლიტვასა და ლატვიას შორის სამხედრო მოქმედება დაიწყო.

გერმანიის დამოუკიდებელ სოციალისტთა კონფერენციაზე მოსკოვის ინტერნაციონალთან შეერთების შესახებ შეთანხმება არ მოხდა.

უარყოფენ ხმებს რუმინეთში საყოველთაო მობილიზაციის გამოცხადების შესახებ.

ჰამბურგში ფრანგების საწინააღმდეგო განწყობილება.

ძვირფასი სტუმრები

საქართველოს დემოკრატიას შეგვიძლია მივულოცოთ: ჩვენი სათაყვანებელი მეთაურები ევროპის მუშათა მოძრაობის, საუკეთესო მებრძოლნი იმ იდეალებისთვის, რომლებმაც ჩვენ გამარჯვების კარზე მიგვიყვანა, უკვე გამოსული იქნებიან ეხლა ევროპიდან ჩვენი ქვეყნისაკენ.

ვინ არ სწვევია ამ რამდენიმე რევოლიუციური წლის განმავლობაში ჩვენს ქვეყანას: გენერალი, პრინცი, სალდათი, ვაჭარი და სპეკულიანტი უცხო ქვეყნის. რომელი ფერის და ჯურის ხალხი გინდათ არ იხილეს თფილისის ქუჩებმა.

მაგრამ ჩვენი სტუმრები არასოდეს არ ყოფილან ისინი. ზოგნი საბატონოთ მოდიოდენ, ზოგნი მოსაკებად. ასე რომ ისინი იყვენ სტუმარი ან ჩვენი მდიდარი ბუნების, ან სულ არ გავდენ სტუმრათ მოსულთ.

მხოლოდ ახლა მოდიან ნამდვილი სტუმრები, მეგობრები საქართველოსი და მასწავლებლები საქართველოს დემოკრატიის, ისინი, ვის ნაწერებზედაც იზრდებოდა და მტკიცდებოდა ჩვენი რევოლიუციური აზრი და ცხოველდებოდა ენერგია.

საერთაშორისო სოციალიზმის საუკეთესო მატარებელნი იქნებიან წვეულნი ჩვენი ქვეყნის, ჩვენის დემოკრატიის.

საქართველოს განსაკუთრებულმა სოციალურმა მუშაობამ მოიზიდა ჩვენსკენ მათი ყურადღება. ჩვენი მუშათა კლასის გაბატონებამ სახელმწიფოში და წლითი-წლობით მრავალ უიმედო საფრთხისაგან თავის დახსნამ აღუძრა მათ წყურვილი ჩვენი ქვეყნის გაცნობის.

სოციალდემოკრატები სახელმწიფოს მაშენებელნი, არის ახალი სოციალდემოკრატები კომუნიზმის და იმპერიალიზმის ტალღებით გარემოცულნი. სოციალ-დემოკრატები პატარა, მაგრამ რევოლიუციურ ქვეყანაში—აი რა არის ახალი ჩვენს მდგომარეობაში, რომელიც ყურადღებას იპყრობს ევროპიელ სოციალისტებისას.

რუსეთის გზა კომუნიზმით, სოციალიზმისაკენ, საქართველოს გზა დემოკრატიზმით სოციალიზმისაკენ, აი ეს ხვდება ერთმანეთს საქართველოს საზღვრებზე და ნათელს ყოფს ამ ორი გზის ღირსება ნაკლულევანებას.

შედარება აუცილებელია სოციალისტებისთვის. განხილვა და განსჯა აუცილებელია რევოლიუციურ მებრძოლისთვის. და ისინიც მოდიან ევროპის დიდი სახელმწიფოების მუშათა კლასის მესვეურნი.

გუშინდელი მებრძოლი სახელმწიფოების წარმომადგენელნი, მუშათა ინგლისი, მუშათა გერმანია და გმირი ბელგია გზავნის თავის საუკეთესო შვილებს.

და ჩვენ შეგვიძლია ვიამაყოთ, რომ ისინი მოდიან იმ პრაქტიკისთვის თვალის გადასავლებათ, რომელსაც აწარმოებენ სოციალდემოკრატები, რომელსაც აწარმოებს მისი სახით საქართველოს მშრომელი მასსა. დემოკრატიის გზით განხორციელებული დიქტატურის რეალური სურათი უნდათ იხილონ ძველმა ბელადებმა, რომელნიც მთელი თავის სიცოცხლე ამის თეორიულ დასაბუთებაში იყვნენ. საქართველოს მუშებო, ქალაქის და სოფლის მშრომელნო, ემზადეთ ამ ძვირფასი, ამ საყვარელი სტუმრების შესახვედრათ. მათი სახით თქვენთან მოდის სოციალისტური ევროპა, მოდის გონება და აზროვნება ჩვენი უფროსი ძმების. რომელთა ცოდნით და გამოცდილებით ვიშუქებდით გზას ჩვენს მძიმე და საპასუხისმგებლო ბრძოლაში... მოდიან სოციალისტი სტუმრები და ყოველი ჩვენგანის გული სიხარულს გრძნობს, წმინდა, ანკარა სიხარულს, უზადო სიამეს; ეჭვის ნატამალი არ შეიძლება აღიძრას მათ საუკეთესო მეგობრულ განწყობილებაში ჩვენდამი. მათ შეგვიძლია მივენდოთ და მოგვანდონ ყოველი გულის ნადები.

რა კარგია ეს სოციალისტური ევროპა! უკვე ისმის მისი ძლიერი, საამური ხმა, რომელსაც შეუძლია განთავისუფლება, მაგრამ არა დამონება... ძმურ ურთიერთობის კაცობრიობის მომავალ ნიმუშს ვგრძნობთ წინასწარ მათს მეგობრულ მოსვლაში.

და მინდა წინდაწინ ვახარო ეს სიამე საქართველოს მებრძოლ მუშათა კლასს.

ჩვენი კომუნისტები ადერბეიჯანში

კომუნისტურ ადერბეიჯანთან კარგი ხანია ზავი შევკარით. ერთგვარი პირობა დავდეთ ურთიერთ შორის, როგორც ეკონომიური, ისე პოლიტიკურ-ხასიათის.

მაგრამ დღემდე არც ერთ მხრის პირობისას არ ეღირსა რეალიზაცია. ბალშევიკური ადერბეიჯანი პირიქით სულ ისეთ თვისებებს იჩენს, რომელიც სრულიად არ წააგავს მეზობლურ დამოკიდებულებას. პირიქით, ქართველ კომუნისტების დახმარებით, რომელნიც ინტერვენციის მომხრე არიან საქართველოში და ყოველ გზა ჯვარედინზე მოუწოდებენ გარეშე ხალხს საქართველოში შემოსევისაკენ, ადერბეიჯანის „მუშების და გლეხების კრებები“ გამუდმებით აჟღარუნებენ იარაღს.

აი მაგალითად, რას სწერს „კრ. ვოინი“ სადგურ აქსტაფაში მუშა მოსამსახურეთა საერთო კრებამ მოისმინა ამხ. ქართველ კომუნისტების მოხსენება და დაადგინა: „საქართველოს ამხ. მუშათა და გლეხთა პირველ დაძახებისთანავე წავიდეთ მის დასახმარებლად, რათა საქართველოს მენშევიკ-სოგლაშატელების ბურჟუაზიული მთავრობა დავამხოთ“.

ისტორიიდან ვიცით, რომ საქართველოში უცხოელ ჯარს შემოუძღვებოდნენ ხოლმე გაბოროტებული თავადები, მოღალატე გამცემლები, და ქვეყნის ორგულნი.

ვიცით, რუსეთის შესახებ, რომ იქ უცხო ძალას უყვის და იწვევს საბჭოთა მთავრობის დასახმობათ დენიკინვრანგელის რეაქციონური ლაშქარი. ვიცით, რომ უცხო ძალებზე დაყრდნობა ყოველთვის იყო სულმდაბალი მოქმედება ზნეობა დაცემულ წრეებისა.

ახლა ამ გახრწნისა და გათახსირების პოლიტიკას აწარმოებენ ქართველი კომუნისტები, ხოლო ადერბეიჯანის არმიის ოფიციალური ორგანო მას სიხარულით ეგებება და თანაგრძნობას უცხადებს.

ამ გვარი დამოკიდებულება ჩვენდამი ადერბეიჯანის ოფიციალურ წრეების თავის თავათ ცხადია, ვერ გამოიწვევს მეგობრულ გრძნობებს ჩვენში.

კომუნისტები ყოველ დღე ირწმუნებიან, „ჩვენ ვართ ნამდვილი მომხრე წვრილ ერთა დამოუკიდებლობის ვებრძვით ინტერვენციასო და სხვა. საქმით კი აქსტაფის ქადაგებას ეწევიან და საზიზღრობის ჩადენაში ერთმანეთს ეჯიბრებიან.

ამ ჟამათ, როგორც ვიცით აქ არის ჩამოსული ადერბეიჯანის დელეგაცია ზოგიერთ საკითხებზე მოსალაპარაკებლად. საინტერესოა მათ ერთხელ ან საბოლოოთ გვითხრან თავის გადაჭრილი პასუხი: რარაღა აქვს ფასი მათ დადებულ ზავს და ხელის მოწერას, თუ ისინი უპირონი არიან და გუშინდელ ნათქვამს ხვალ ქარს გაატანებენ?

ჩვენ გვინდა ვიცოდეთ, უფლება გვაქვს ვიცოდეთ, ბოლოს და ბოლოს, რით განირჩევა კომუნისტების დამოკიდებულება ჩვენთან დენიკინის დამოკიდებულებისაგან.

დენიკინთან ჩვენ არ გვქონია არავითარი ზავი. ადერბეიჯანთან გვაქვს ხელშეკრულება.

და საგარეო მინისტრის პირდაპირი მოვალეობაა ფარდა ახადოს იმ ურთიერთობის ნამდვილ სურათს, რომელიც არსებობს ჩვენსა და მეზობელ კომუნისტურ ქვეყნის შორის.

პრესა

ჩვენი ფუტურისტები რომ დიდბუნებოვანი ხალხი იყო, ეს თავიდანვე ჩანდა: ქართული მუზის თავის გემოზე აჩანჩალებისთანავე ბევრ მათგანს ევიწროვა მშობლიური ასპარეზი და რუსულ ლიტერატურასაც მიეჭრენ. ზოგი რუსული ლექსების ცხობას შეუდგა და ზოგი კიდევ კრიტიკული წერილების. მაგრამ ფუტურისტებს ეტყობა ეს ფარგალიც ვიწროთ მოჩვენებიათ და პუბლიცისტიკაშიაც გადაუდგამთ ფეხი. ტიციან ტაბიძის რედაქტორობით ბათომში გამოდის ყოველდღიური გაზეთი „მთლიანი საქართველო“, რომლის ფურცლებზედაც შემდეგი მარგალიტებია მოთავსებული:

> „ქემალ-ფაშას, რომელსაც უნდა ევროპას გაუსწორდეს, დასჭირდება წინდაწინ ქართველ ჯართან გასწორება. და მაშინ იქნება აღსრული ეფემერული ოსმალეთისა. ტრაპიზონი პირდაპირი გზაა საქართველოსი აზიის სიღრმეში და ამ გზას დაიპყრობს ქართველი ჯარი... ტრაპიზონში აშენდება (საქართველოს მიერ) ახალი ეფემერები და ეს იქნება ახალი სიდონი“...

ერთის სიტყვით „ქართველო ხელი ხმალს იკარ, გასწიე ლაზისტანისკენ!“ ასეთი მადა გახსნია ჩვენს „ეფემერულ“ პოეტს ბათომის დაბრუნების გამო. ამ სულელურ აზრს, რასაკვირველია, თავისივე სისულელე ეყოფა პასუხად და სიტყვის გაგრძელებაც არ ღირს, მაგრამ ქართველი პოეტის სახელის შებღალვას კი ვერ ვაპატიებთ ტ. ტაბიძეს. „ქართველ ჯარს ახალი ომის საგანი აქვს, ქართველ პოეტებს ახალი ომის და სიმღერისა“, სწერს ფუტურისტის გაზეთი. ნეტავი რომელ ქართველ პოეტებზე მოგვითხრობს? თუ ფუტურისტები ყავს სახეში, ღმერთმა მშვიდობა მისცეს მათ, ხოლო თუ ყველა ქართველ პოეტზე ასე ფიქრობს, მაშინ ძალიან შემცდარია: ქართველი დემოკრატია და მისი საყვარელი პოეტი იმპერიალისტურ ზარაბანს არ აბრახუნებს, ეს კაციჭამია ვეშაპელისტების და მისი გვერდის დამშვენე ჩვენი ფუტურისტების საქმეა.

სადღეისო წერილები

VI

ორი იმპერიალიზმი.

პოლონეთის ჯარების წინ წამოწევამ შიდა რუსეთში გამოიწვია ბალშევიკურ რუსეთის ირგვლივ ამოძრავება და პოლონეთის ჯარების დამარცხება.

პოლონეთის ხალხი მისმა ხელმძღვანელმა მართველმა მთავრობამ იმპერიალისტურ ფერხულში ჩაითრია და მით ამ რამდენიმე კვირის წინად საფრთხეში ჩააგდო პოლონეთი, მას დასაპყრობად საბჭოთა იმპერიალისტური ჯარები შესია.

პოლონეთის აღება და ხალხის დამორჩილება მიზნათ დაისახა ტროცკ-ბრუსილოვის აგრესიულმა განზრახვამ და ბოლშევიკური დიქტატურით გატაცებულებმა „დიდი რუსეთის“ აღდგენა პოლონეთის ხარჯზე განიზრახეს.

როგორც პოლონეთის, ისე რუსეთის იმპერიალისტებისათვის, ამ უკიდურეს მოძრაობაში ჩაისახა მათი საბედისწერო მომენტი და ეს რამდენიმე ხანია მსოფლიო ხალხთა ყურადღებას იქცევს რუსეთ პოლონეთის დაუმთავრებელი და ცვალებადი სამხედრო მოქმედება.

უკანასკნელი ცნობებით რუსეთის არმიის ნაწილი განადგურდა პოლონეთის საზღვრებთან და რუსეთის სამხედრო დიქტატორების გადაწყვეტილება ვარშავის აღების შესახებ ჯერ-ჯერობით არ ასრულდა.

ამავე დროს, როგორც იუწყებიან მოსკოვიდან, ბალშევიკთა სამხედრო პარტიას დაუდგენია: „რაც არ უნდა დაგვიჯდეს რეაქციონური ვარშავა უნდა დავიპყროთო“.

ამ ჟამად ძნელია იმის თქმა, თუ რით დამთავრდება ეგ ბრძოლა, მაგრამ წინდაწინ შეიძლება ითქვას. მოსკოვი ვარშავას ვერ დაიმორჩილებს და ვარშავა მოსკოვს. აღება შეიძლება, დამორჩილება კი არასდროს.

რამდენიც უნდა სწერონ ჩვენებურმა კომუნისტებმა, რამდენიც უნდა არწმუნონ მოსკოვის ბალშევიკებმა საერთაშორისო მუშათა კლასი,—რომ ჩვენ ვიბრძვით მსოფლიო სოციალისტურ რევოლიუციისთვისო, ისტორიული ფაქტი, მოვლენა მაინც თავისებურია, ემორჩილება სინამდვილეს. დღეს რუსეთი იბრძვის ძველი რუსეთის საზღვრების აღსადგენად. აქ არის რუსეთის ხალხის ტრაღედია ჩანასახული.

რაც დაჰკარგა ძველმა იმპერიალისტურმა რუსეთმა ამ რევოლიუციის დროს, მისი მემკვიდრე „წითელი“ რუსეთი იბრძვის მის დასაბრუნებლად. დღევანდელი „წითელი რუსეთის“ ჯარების ბრძოლების მოთხოვნილება აღადგინოს დაღუპული რუსეთი. ეს ზღაპრული მისია ბალშევიკებმა „კომუნიზმის“ დროშაზე დაწერეს.

მათი გამოწვევა ამიერ კავკასია-სპარსეთისაკენ, მათი ბრძოლა და გადაწყვეტილება პოლონეთის და სხვათა შესახებ მუშათა კლასისათვის ნათელია და რამდენიც არ უნდა მიმართონ „კომუნ. მე-2 ინტერნაც. კონგრესმა“ „ამხ. ფრონტოვიკებს, რომ ისინი იბრძვიან მთელი მშრომელი კაცობრიობის ინტერესებისათვის“ *) მათი საშინელი მოგონება იმპერიალისტურ თავდასხმებისა, ისტორიის ფურცლებზე წაუშლელი დარჩება.

მუშათა კლასი წინააღმდეგი იყო და იქნება, რომ პოლონეთის ნაციონალური მოძრაობა მოისპოს, მაგრამ ამავე დროს ის წინააღმდეგი იქნება პოლონეთის გაბატონებულ წრეების დაპყრობითი პოლიტიკის.

ევროპის იმპერიალისტთა როლი პოლონეთ რუსეთის ომში ადვილი ასახსნელია. მას ორი მიზანი აქვს. განსაკუთრებით საფრანგეთია დაინტერესებული რუსეთის ანარქიის წინააღმდეგ იბრძოდა და იბრძვის ევროპის ბურჟუაზია. მას ეშინია ანარქიზმი ევროპას არ მოედოს. მისი ბრძოლის მეთოდი უსწორო იყო. გამონაკლისს შედგენს ევროპის მუშათა კლასი, რომლის სოციალისტურმა, პოლიტიკურმა და იდეურმა შეგნებამ უარჰყო „რუსული სოციალიზმი და დასავლეთის იმპერიალიზმი და თავისი გზით მიემართება.

კოლჩაკ-დენიკინის წინსვლელობის ხანაში წვრილ ერთა მიმართ სდუმდა გამარჯვებული ევროპა.

ეხლა მდგომარეობა შეცვლილია. მისმა გამოურკვეველმა პოლიტიკამ გარკვეული სახე მიიღო და საფრანგეთი დიდი პოლონეთის დაარსებას ელტვის, რომ ამით თავიდან აიშოროს იმ საფრთხის აჩრდილი, რომელიც ვერსალის ზავის მიერ არის გამოწვეული.

თანამედროვე რუსეთის სამხედრო გასეირნებაც ენზელში, ადერბეიჯანში, პოლონეთში და სხვაგან შეუძლებელია მკვიდრი დარჩეს, რადგანც დაწყებული მოძრაობა ხალხთა ინიციატივით აღებული, არ შეუძლია დაიმორჩილოს სახელმწიფოებრივად დაშლილმა ბალშევიკურმა რუსეთმა.

რუსეთის პროლეტარიატის, დემოკრატიის დამარცხებით დამარცხდა თვით შინაგანი დედა რუსეთიც. ეს ისტორიული აუცილებლობა იყო. პოლონეთის „დაპყრობით“, რუსეთი შეეცადა ერთხელ კიდევ რუსეთის „გაერთიანებას“, მაგრამ მიზანს ვერ აღწევს რუსეთის მოძრაობას, პოლონეთთან ომს დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც ჩვენთვის, ისე საერთაშორისო მშრომელი ხალხისათვის. სანამდის რუსეთში არ შეიცვლება ძირითადათ ბალშევიკების დაპყრობითი კურსი, სანამ ხელს არ აიღებენ ისინი იმპერიალისტურ ლტოლვაზე, მანამ მშვიდობიანობის დამყარება შეუძლებელი დარჩება.

ჩვენ გვეფიქრებს პოლონეთ-რუსეთის ომი არა იმიტომ, რომ მას შეეძლოს მსოფლიოს აფორიაქება, არამედ—იმიტომ, რომ ომს ორივე მხრიდან ხელმძღვანელობს უკიდურესი შოვინიზმი და ამიტომ მას ექნება მკაცრი ხასიათი.

მუშათა კლასი ორივე ქვეყნად იმპერიალიზმის ტყვეობაშია ჩავარდნილი.

დემოკრატია იბრძვის და იღუპება, მისი სხეული იჩხვლიტება...

რომ დემოკრატიას ჰქონოდა ხელში რუსეთში და პოლონეთში თავისი ნაციონალური სახელმწიფოებრივ სხეულების ჩამოყალიბების მეთაურობა, მაშინ ომიც არ იქნებოდა, მაგრამ თუ მოსკოვის და რუსის ხალხის ტრაღედიის რეჟისორებმა და ვარშავის მართველმა წრეებმა კიდევ ვერ გაიგეს თანამედროვე ობიექტიურ მოვლენათა ამოცანები, მაშინ, ცხადია, ბრძოლა გაგრძელდება და ზავიც დაგვიანდება.

ეს კი საზარალო იქნება საზოგადოებრივ მშვიდობიანობის განვითარებისათვის და მუშათა კლასის მომავლისათვის.

ანანია.

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

4 სექტემბერი.

გერმანული ცნობები

ბრიუსელის კონფერენცია.

(დასაწყისი არ არის მიღებული) მინისტრმა განაცხადა: საფრანგეთის დაჟინებითი მოთხოვნილებით ჟენევის კონფერენციის დამოუკიდებლად შესდგება ბრიუსელის კონფერენცია და საერთაშორისო ფინანსიური პროგრამის გამომუშავების დროს გერმანიის ფინანსიური მდგომარეობა მხედველობაში არ იქნება მიღებული.

გერმანიის საგარეო პოლიტიკა.

პოლიტიკური პარტიები, დაწყებული გერმანიის ნაციონალისტებისაგან და გათავებული დამოუკიდებელ სოციალისტებით, სიმონსის საგარეო პოლიტიკას იწონებენ. ყველა პარტია იმ აზრს გამოსთქვამს, რომ საფრანგეთის მოთხოვნილება გამოწვეული ბრესლავლის ინციდენტით, მიუღებელი იქნება თუ არ შეიცვალა ის მუხლები, რომლებიც გერმანელების სახელს არ შეეფერებიან. იმედს გამოსთქვამენ, რომ მთავრობა საფრანგეთის ელჩ ლორანთან მოლაპარაკების დროს შესძლებს ამ მოთხოვნილებაში ცვლილებათა შეტანასო.

პოლონელთა ძალადობა.

ზემო სილეზიაში პლებისციტის მომწყობ გერმანიის კომისარიატმა გენერალ ლერონს მიმართა დეპეშით, რომელშიც აღნიშნავს რა პოლონეთის ძალადობას, მოითხოვს, რომ მოკავშირეთა კომისიამ მიიღოს ყოველგვარი ზომა ძალადობათა მოსასპობათ. რეიჰსტაგის გარეშე საქმეთა კომისიამ მოსთხოვა მთავრობას წარმოადგინოს სრული სია პოლონელთა მიერ ჩადენილ ძალადობისა და საფრანგეთის მთავრობის წარმომადგენელთა დაუდევრობისა. რეზოლიუცია ამ მოთხოვნილების შესახებ მიიღეს ყველა პარტიის თანხმობით, გარდა დამოუკიდებელ სოციალისტებისა.

დამოუკიდებელი სოციალისტები და მოსკოვის ინტერნაციონალი.

გერმანელ დამოუკიდებელ სოციალისტების ლიდერების საერთო კონფერენციაზე მოსკოვის ინტერნაციონალთან შეერთების საკითხის გამო შეთანხმება კიდევ არ მოხდა. მაშინ, როდესაც დოლიუმიგი მოითხოვდა მასთან შეერთებას, კრისპინი ამის წინააღმდეგი იყო.

გერმანიის პროტესტი.

გერმანიის მთავრობამ პოლონელების მიერ აღმოსავლეთის პრუსიის საზღვრების დარღვევის გამო ვარშავაში პროტესტი განაცხადა.

ფრანგული ცნობები

ცნობა გენ. ბუდიონის შესახებ.

პოლონეთის სექტემბრის პირველის ცნობა გენ. ბუდიონის სასტიკ დამარცხებას აღნიშნავს.

ავიატორი როჟე რომში ჩამოფრინდა. როჟემ მთელი დედა-მიწა შემოიფრინა.

ლიონის ცნობები

ბრესლავლის ინციდენტი.

ბერლინიდან ოფიციალურად იუწყებიან: ბრესლავლის ინციდენტის გამო საფრანგეთის მიერ წარდგენილი მოთხოვნილებანი გერმანიის მთავრობამ მიიღო.

პოლონეთის საზავო მოლაპარაკება.

„პტი-პარიზიენმა“ რუსეთ პოლონეთის საზავო მოლაპარაკების შესახებ პოლონეთის გარეშე საქმეთა მინისტრ საპეგის განცხადება მოათავსა. პოლონელებსაც და ბალშევიკებსაც ზავი სურთ. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჩვენ მტრებს ისევე გულწრფელად სურთ ზავი, როგორც ჩვენ. გამარჯვებული პოლონეთი არ წარუდგენს საბჭოთა მთავრობას ისეთ მძიმე პირობებს, როგორც მან ჩვენ წარმოგვიდგინა. ბალშევიკების პირობებს, რომელიც 15 მუხლისაგან შესდგება არ განიხილავენ არც რიგაში და არც რეველში. მინსკში მომხდარმა მოლაპარაკებამ მომზადა შეთანხმების ნიადაგი. პოლონეთი არ განიარაღდება მანამ, სანამ საერთო განიარაღება არ მოხდება.

პოლონეთის ფრონტზე.

სექტემბრის 2-ის პოლონეთის ცნობა აღნიშნავს პოლონეთის ჯარის სუვალკაში შესვლას. ხალხი პოლონელებს აღტაცებით მიეგებება. ზამოსტიესთან სასტიკ დამარცხების შემდეგ გენერალი ბუდიონი ყოველგვარ ზომებს ხმარობს, რათა თავისი ნაწილები საბოლოო განადგურებისაგან გადაარჩინოს.

ბალშევიკების ცნობები

სამხედრო ცნობა

(დასაწყისი არ მიგვიღია) ვოლინის ვლადიმერის რაიონში მტერი დავამარცხეთ, წამოვიყვანეთ ასზე მეტი ტყვე. ლვოვის რაიონში ჩვენზე შემოტეული მტერი დავამარცხეთ და დასავლეთისკენ უკან დავხიეთ. წამოვიყვანეთ 300 ტყვე, ხელთ ჩავიგდეთ 3 ზარბაზანი და ათამდე ტყვიამფრქვეველი. ყირიმის მხარეში ბრძოლა გრძელდება.

საზავო მოლაპარაკებისთვის.

სექტემბრის 1 უკრაინისა და საბჭოთა მთავრობები ...(გამოტოვებულია)... მზად არიან მოლაპარაკება აწარმოონ რიგაში იმ პირობით, რომ რუსეთისა და უკრაინის მთავრობასთან თავისუფალი დამოკიდებულება იქონიონ და პიროვნულათ ხელშეუხებელნი იყვნენ. რუსეთ-უკრაინის დელეგაციის თავმჯდომარეთ დაინიშნა იოფფე, რომელსაც მიეცა რწმუნებულება აწარმოოს საბოლოო მოლაპარაკება და ხელი მოაწეროს დროებითსა და წინასწარ ზავს.

ცხენების ჩამორთმევა.

მოსკოვი, სექტ. 4. საგუბ. აღმ. კომიტეტმა მდიდარ გლეხობას ჩამოართვა (დამახინჯებულია) 3500 ცხენი, რომელიც ვრანგელს ეგზავნებოდა.

გენ. დენიკინის წერილი.

გენერალმა დენიკინმა ინგლისურ გაზეთებში დაბეჭდა წერილი, სადაც აცხადებს, რომ ლორდ კერზონს მასთან არავითარი მოლაპარაკება არ ქონია. (შემდეგ გამოტოვებულია) თავის წერილის დასასრულ დენიკინი ამბობს: თუ ბალშევიზმი არ მოისპობა, დაიღუპება არა მარტო რუსეთი, არამედ მთელი ევროპაც.

პსკოვი, სექტ. 2. ლიტვასა და ლატვიას შორის სამხედრო მოქმედება დაიწყო. ლატვიის სამხედრო ნაწილები ლიტვის საზღვარზე გაიგზავნა.

საქართველოში არსებული რ. ს. ფ. ს. რ. სრულუფლებიან წარმომადგენლობის ბეჭდვითი ბიუროს ბიულეტენი.

4 სექტემბერი.

რესპუბლიკის „რევვოენსავეტის“ საველე შტაბის სამხედრო ცნობა. 3 სექ.

მოსკოვი, 4 სექტ. (რადიო) **პოლონეთის ფრონტი.** ბრესტ-ლიტოვსკის ჩრდილოეთით და ჩრდილო აღმოსავლეთით ბრძოლები გრძელდება ხოლმის რაიონში ჩვენმა ჯარმა მოწინააღმდეგე მდ. დასავლეთის ბუგის მარცხენა ნაპირზე გადადევნა. ვოლინის ვლადიმირის რაიონში მტრის ძლიერი ჯარი დავამარცხეთ; 1000-ზე მეტი ტყვე წამოვიყვანეთ ლვოვის რაიონში მტერს დასავლეთისკენ უკან დავახევინეთ. აქ წამოვიყვანეთ 300 ტყვე, ხელთ ვიგდეთ სამი დაუზიანებელი ზარბაზანი და 20 ტყვიამფრქვეველი. **ყირიმის რაიონი.** მკაცრი ბრძოლები გრძელდება.

ახალი მოკავშირენი.

ლიონი, 2 სექტ. (რადიო). ვარშავაში ჩამოვიდა ვრანგელის წარმომადგენელი, გენ. მარკოვი, რომელიც მოლაპარაკებას აწარმოებს პოლონეთის და ვრანგელის ჯარების შეთანხმებული მოქმედების შესახებ.

ომი ლატვიასა და ლიტვას შორის.

პსკოვი, 2 სექტ. (რადიო). ლატვიასა და ლიტვას შორის სამხედრო მოქმედება დაიწყო. ლიტვის ჯარის ნაწილი ოპოჩკინის და ოსტროვის მაზრების საზღვრებიდან ლიტვის საზღვრამდე გადაიყვანეს. ლატვის ჯარისკაცებს ბრძოლა არა სურთ.

საქ. დეპ. სააგენტოს საინფორმაციო განყოფილება

4 სექტემბერი.

ვენიზელოსის დაჭრის შემდეგ.

ათინა, 25 აგვ. ვენიზელოსზე მომხდარ თავდასხმის შემდეგ დაატუსაღეს ოპოზიციის მრავალი წევრი. ქალაქს ყარაულები იცავს. როგორც დაბეჯითებით ამბობენ, შეთქმულთა რიცხვი ათინის გარნიზონს აღემატება.

პარიზი. 23 აგვ. „ტანი“ იუწყება: ვარშავიდან მიღებულია ცნობები იმ წითელ არმიელთა ყოფაქცევის შესახებ, რომლებიც პოლონეთის ადგილებში დაატყვევეს. წითელი არმიელები სცარცვავენ და ანადგურებენ მამულებს. ბალშევიკების ცხენოსანი ჯარი მორალური მხრით ქვეითა ჯარზე გაცილებით მაღლა სდგას.

ამერიკის ესკადრა ბალტიის ზღვაში.

ვაშინგტონი. 20 აგვ. კრეისერმა „პიტსბურგმა“ და ამერიკის სხვა ნაღმოსნებმა ბრძანება მიიღეს ბალტიის ზღვისაკენ გამგზავრების შესახებ. ამერიკის ესკადრას სარდლობს კონტრ-ადმირალი რუზე.

სპარტაკელები და კომუნისტები.

ბერლინი. 23 აგვ. ჰამბურგიდან მიღებულია ცნობები ადგილობრივ კომუნისტებსა და სპარტაკელებს შორის არსებულ დიდ უთანხმოების შესახებ: ამ ორ ორგანიზაციის შორის სრული განხეთქილება არის მოსალოდნელი.

იტალიაში.

რომი. აგვ. 24 იტალიის პალატამ მიიღო ომის დროს შეძენილ მოგებათა კონფისკაციის კანონ-პროექტი.

მეორე ინტერნაციონალის კონგრესი.

ჟენევა. აგვ. 24. ჟენევაში შემდგარ მეორე ინტერნაციონალის კონგრესის თავმჯდომარე შოუმ განაცხადა, რომ მეორე ინტერნაციონალმა თავის მიზნათ მესამე ინტერნაციონალთან ბრძოლა უნდა დაისახოს. შოუ აღნიშნავს, რომ თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობამ სოციალისტების ძალა მეტად შეასუსტა. რუსეთის და გერმანიის მუშები შიმშილობენ. უნგრეთი და ფინლანდია რეაქციის საშინელებების ქვეშ იმყოფება. საჭიროა გაერთიანება. მეორე ინტერნაციონალმა მესამე ინტერნაციონალისა და საბჭოთა მთავრობის ეგოისტურ და ბეც პოლიტიკის წინააღმდეგ პროტესტი უნდა განაცხადოსო.

ბალშევიკების შეთქმულება ამერიკაში.

კონსტანტინეპოლი. 28 აგვ. „ბისფორი“ ვაშინგტონიდან მიღებულ შემდეგ დეპეშას ბეჭდავს: „ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატების მთავრობამ მოსკოვის მთავრობის აგენტების დიდი შეთქმულება აღმოაჩინა. როგორც გამოირკვა ბალშევიკების მიზანი იყო შესყიდვის და აგიტაციის საშუალებით ამერიკის სხვადასხვა ქალაქებში არეულობის გამოწვევა და ამასთანავე ზოგიერთ ფაბრიკებისა და ქარხნების აფეთქება.

ინგლისელ კომუნისტთა კონფერენცია.

ლონდონი. აგვ. 23. „ტაიმსის“ ცნობით ლონდონში შეიკრიბა ინგლისელ კომუნისტთა პირველი კონფერენცია. თავმჯდომარეთ არტურ მაკმანუსი აირჩიეს. დელეგატების განწყობილება ზომიერია. გამოჩენილ მუშა მოღვაწემ სტიუარტმა განაცხადა: ინგლისის პროლეტარიატი უნდა ერიდოს ტყვიამფრქვეველით გატაცებას იქ, სადაც მხოლოდ გონიერებაა საჭირო. ორატორის აზრით ნამდვილ რევოლიუციონერად ყოფნა მხოლოდ მშვიდობიან კაცს შეუძლია: ვილიამსმა განაცხადა: ეს კონფერენცია თუმცა კომუნისტურია, მაგრამ ქვეყანამ უნდა იცოდეს, რომ ინგლისელ მუშის აზრით ლენინი წინასწარმეტყველი არაა და მისი კომუნისტური რეცეპტი ინგლისისათვის მიუღებელია. ორატორი პროლეტარიატის დიქტატურის ძალმომრეობით განხორციელების წინააღმდეგ მიდის. ინგლისის მუშათა კლასის პოლიტიკის შესახებ გამოიტანეს რეზოლიუცია, სადაც შეუძლებლად არის აღიარებული კაპიტალიზმიდან პირდაპირ კომუნიზმში გადასვლა. კომუნიზმს წინ უნდა უძღვეს პროლეტარიატის კონტროლი მრეწველობაზე. გადაწყვიტეს: ინგლისელ კომუნისტებმა ინგლისის მუშათა პარტიასთან თანხმობით ვიმუშაოთ. „ტაიმსის“ ცნობით კონფერენციას ლენინისაგან მისალმების დეპეშა მიუღია. ლენინი ურჩევდა ამ მისალმებაში ინგლისელ კომუნისტებს უარი არ ეთქვათ პარლამენტარულ ბრძოლაზე.

კუნძულ ფორმოზაზე.

„ტაიმსის“ ცნობით კუნძულ ფორმოზაზე, თავი იჩინა ადგილობრივ მცხოვრებთა აჯანყებამ, იაპონელების წინააღმდეგ. აჯანყების ჩასაქრობად გაიგზავნა იაპონელთა 15,0 ჯარის კაცი, რომლებიც აჯანყებულებმა საშინლად დაამარცხეს.

ვრანგელის და პოლონეთის შეერთება.

პარიზი. სექტ. 3. ჰავასის სააგენტო იუწყება: ვარშავიდან მოსული ცნობებით შესაძლებელია პოლონეთისა და ვრანგელის ჯარების შეერთებული გამოსვლა. ჯარების შეერთება უკრაინის ტერიტორიაზე მოხდება.

იტალია და რუსეთი.

რომი. სექტ. 3. მთავრობის თავმჯდომარე მოელაპარაკა იტალიის კოოპერაციის წარმომადგენლებს რუსეთსა და იტალიის შორის სავაჭრო დამოკიდებულების მოწყობის შესახებ. საქონლის გაცვლა გამოცვლა კოპენჰაგენში ხელმოწერილ კონვენციის თანახმად მოხდება. უკვე გაიგზავნა იტალიიდან წამლეულობა 4000 ტონი ხორბალსა, ქერსა და სიმინდზე გადასაცვლელად.

ფრანგების წინააღმდეგ.

ლიონი. სექ. 4. ჰამბურგიდან მიღებულ ცნობით ქალაქში ფრანგების საწინააღმდეგო განწყობილებაა. პრესაც ათავსებს საფრანგეთის საწინააღმდეგო წერილებს. შეიძლება, რომ ბრესლავისებური ინციდენტი აქაც განმეორდეს.

გენ. ვრანგელის წარმომადგენლის განცხადება:

ბათომი. სექტ. 4. „იუჟ. როსიის“ აგვ. 26 ნომ. სწერია: გენ. ვრანგელის დიპლომატიურმა წარმომადგენელმა პარიზში სამხრეთ რუსეთის მთავრობის სახელით განაცხადა: ეს მთავრობა დამცველია ეროვნულ იდეისა და თავის თავზე ღებულობს რუსეთთან დადებულ ხელშეკრულებების ასრულებას. მთავრობა სრული შეთანხმებით მუშაობს დემოკრატიასა და პატრიოტებთან. რუსეთის მთავრობის უმთავრესი თეზისია: მიეცეს ხალხს თავისუფლება, თვითონ აღიაროს თუ როგორი წყობილება სურს მას, თანასწორობა და პიროვნების ხელშეუხებლობა განურჩევლად ეროვნებისა და სარწმუნოებისა, მიწების გადაცემა იმათზე, ვინც მას ამუშავებს. მუშათა კლასის და პროფეს. კავ. ინტერესების დაცვა. მთავრობა თავის მუშაობაში იხელმძღვანელებს ნდობისა და სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიებთან თანამშრომლობის პრინციპით. საფრანგეთის პრესა იწონებს ვრანგელის მთავრობის ასეთს პროგრამას.

საბერძნეთის მისიის ცნობები.

გენერალ პარასკევოპულომ პრესის წარმომადგენლებს განუცხადა: ჩემის აზრით ქემალისტთა მოძრაობის აღმოსაფხვრელად და ზავის პირობების შესასრულებლად საბერძნეთის ჯარს მცირე აზიის შუაგულში შეჭრა მოუხდებათ.

— —

ბულგარეთის პრემიერ მინისტრმა სტამბულისკიმ პრესაში შემდეგი განაცხადა: მე დარწმუნებული ვარ, რომ სანამ საბერძნეთს ვენიზელოსი განაგებს, საბერძნეთი ბულგარეთს თავს არ დაესხმება. კიდევ მეტად დარწმუნებული ვარ იმაში, რომ ეს გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწე ამ ორ სახელმწიფოს დასაახლოვებლადაც იმუშავებს. ბულგარეთის ხალხი ყოველთვის ცდილობდა სერბიასთან მეგობრობასო.

— —

ჩეხო-სლოვაკური პრესა დიდის აღ-

---

*) იხ. კომ. ინტერ. მიმართვა წითელ არმიელებისადმი.

ფრთოვანებით ეგებება ბუქარესტში მომხდარ შეთანხმებას. ეს შეთანხმება განამტკიცებს ბალკანეთის სახელმწიფოთა სამშვიდობო პოლიტიკას.

——

უარყოფენ ხმებს რუმინეთში საყოველთაო მობილიზაციის გამოცხადების შესახებ.

——

„პეიამ საბახში“ დაბეჭდილია დიდი წერილი სათაურით—„თურანისაკენ“ გაზეთი აღნიშნავს იმ უმგზავსოებას, რომელსაც ანატოლიაში აქვს ადგილი და ამბობს: ეს ნიადაგს უმზადებს საბერძნეთის ახალ ჩარევას ანატოლიის საქმეებშიო. ელინთა ჯარმა შეიძლება თავი ამოყოს ანგორასა და კოპიეში.

——

ალბანეთის მთავრობამ იტალიას პროტესტით მიმართა სერბიის ჯარის ჩრდილოეთ ალბანეთზე თავდასხმის გამო. სომეხთა საპატრიარქომ მიიღო ცნობა ბოლუში ქემალისტების მიერ სომხების დარბევის შესახებ. მოკლულია დაახლოებით 600 სომეხი. 300 სომეხი გადარჩენის მიზნით ზუნგულდაკში მისულა.

სომხეთში

ერევანი, სექტ. 1. „არაჩი“—წერილში—„ლონდონ-მოსკოვ-ნახიჩევანი“ აღნიშნავს: საბჭოთა ჯარების შემოტევამ ყარაბახის, ზანგეზურის და ნახიჩევანის წინააღმდეგ დააინტერესა ევროპა, განსაკუთრებით კი ინგლისი, ვინაიდან ამ გზით სურთ ბოლშევიკებს კავშირის დაჭერა სპარსეთთან და შემდეგ არაბისტანთან, ეგვიპტესთან და ინდოეთთანო. ასეთ პირობებში ლონდონი უნდა დაფიქრდეს თავის ახალშენების ბედზე. შეიქმნა რეალური მუქარა და საჭიროა მის წინააღმდეგ სერიოზული ზომების მიღება. შეიძლება ლონდონი ახლა უკვე გრძნობს თავის შეცდომას. იგი სომხეთს რომ დახმარებოდა, უფრო მეტს მოიგებდა. ლონდონი ამ ჟამად ძნელ ამოცანის წინაშე, სდგას—ან უნდა დაიხსნას აღმოსავლეთი ბოლშევიკების შემოსევისაგან და თავისი ბატონობა დიპლომატიური გზით უნდა განამტკიცოს ან და იარაღით ხელში უნდა დაამსხვრიოს წითლები. მოსკოვმა იცის, რომ მისი ერთად ერთი და სასტიკი მტერია ინგლისი, ამიტომ მოსკოვს სურს აღმოსავლეთის პოლიტიკით ამოქმედოს ინგლისზე, მოსკოვმა კარგათ იცის თავისი მდგომარეობის სირთულე და ეკონომიური სიღატაკე. ამიტომ თავის გადასარჩენათ ის არაფრის წინაშე არ შეჩერდება. ზანგეზურ-ნახიჩევანის ხაზის დაკავებით რუსეთ—ინგლისის ბრძოლა ახალ ფაზაში შედის, შესაძლებელია სამხედრო მოქმედებათა აღმოსავლეთში გადატანა და აგრეთვე ფინლანდიისა და რუმინეთის გამოლაშქრება რუსეთის წინააღმდეგ. ამ გზაზე იმყოფება სომხეთი და სომხეთის ხალხი კვლავ უნდა დაიტანჯოს. კვლავ ისმება საკითხი სომხეთის ხალხის ფიზიკურად გადარჩენის შესახებ. საშიშროება, ლონდონ—მოსკოვის და ნახიჩევანის ხაზით გვიახლოვდება, სომხეთმა უნდა გამოიჩინოს მტკიცე ნება, გამოიყვანოს ძლიერი ჯარი თავის დამოუკიდებლობის დასაცავად. (სდს).

ბათუმი

ბათუმი. აგვ. 3. ბათუმის ქალაქის თავად აირჩიეს დამფუძნებელი კრების წევრი გ. ანჯაფარიძე, მის ამხანაგად—მეჯლისის პრეზიდიუმის წევრი ხია-ბეგ აბაშიძე. საბჭომ გადასწყვიტა გამგეობის წევრის ერთი ადგილი სომეხ ხმოსანთა ფრაქციის დაუთმოს.

ბათუმში მოსული ცნობით ტუაპსე და სოჭი ისევ საბჭოთა ჯარებს დაუბრუნებიათ. ტუაპსეში ბოლშევიკებს ხელთ უგდიათ გემი „დონა“ და „აზოვი“, რომელიც ქერჩის ნავთსადგურიდან მოდიოდა.

ახალი ამბები

ტყიბულის ქვანახშირზე მოთხოვნილება. ევროპის ბაზარზე ქვანახშირის ნაკლულოვანების გამო მოთხოვნილება ტყიბულის ქვანახშირზე ამ ჟამად საგრძნობლად გაიზარდა, ამის გამო ტყიბულის ქვანახშირის ფასმა საგრძნობლად აიწია. მომარაგების სამინისტროს ვაჭრობა-მრეწველობის განყოფილება იუწყება, რომ მან საზღვარ გარეთ გასატანად გაყიდა 200,000 ფუთი ტყიბულის ფხვნილი ქვანახშირი. ეს ნახშირი მან გაცილებით მეტ ფასებში გაყიდა, ვიდრე ამას წინედ კარგი ხარისხის ქვანახშირი ფასობდა.

◆ **ფინანსთა სამინისტროში.** ფინანსთა სამინისტროს საბაჟოს ნაწილის უფროსმა ვ. მიქაძემ წინადადება მისცა ახლად გახსნილ ონის საბაჟოს დაიწყოს სავაჭრო ოპერაციები საქონლის გაცვლა-გამოცვლის საფუძველზე. თანაც უუწყა მას, რომ მთავარი ყურადღება მიაქციონ შემოტანილ სიმინდის, მატყლის და შინაურ საქონლის—ასანთსა, მანუფაქტურასა და შაქარზე გადაცვლას. საქონლის გაცვლა-გამოცვლა უმთავრესად ჩრდილოეთ კავკასიის მცხოვრებლებთან იქნება.

◆ **გამოვიდა გაზეთი „სოფლის მუშა“** შემდეგი შინაარსით: 1) „ევროპიელი ამხანაგები გვესტუმრებიან“—მეთაური, 2) „ქვეყნის მატყუარა“, 3) „მოკლე მიმოხილვა“, 4) „საუბარი სოფლის მუშებთან“—ივ. გომართელისა და სხვ.

◆ **იტალიიდან** საგარეო საქმეთა სამინისტროში მიღებულია ცნობები, რომ 30 აგვისტოს საგარეო საქმეთა მინისტრი ევგენი გეგეჭკორი მიიღო იტალიის პრემიერმა ჯიოლიტიმ და მინისტრმა სფორცამ. მიღება იყო გულითადი. ჯიოლიტის და მინისტრ სფორცას მიერ გამოთქმული იყო ღრმა სიმპატია საქართველოსადმი და გეგეჭკორის მიერ აღძრულ საქართველოს საკითხების შესახებ მხარის დაჭერა. იტალიის გაზეთებმა დაბეჭდეს ინტერვიუ გეგეჭკორთან.

◆ **მთავრობამ თავის უკანასკნელ სხდომაზე დაადგინა:** სრულიად სასწრაფოთ და რიგს გარეშე გატარდეს სახელმწიფო დაწესებულებათა შტატის გადასინჯვა და მისი მინიმუმამდე შემცირება.

◆ **მიწადმოქმედების სამინისტროს მიერ** გაგზავნილ მამულების მიმღები კომისია იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ვინაიდან თრიალეთში მხოლოდ მერძეობას, მესაქონლეობას და პურის თესვას მისდევენ, ამიტომ ერბოსა და ყველის მქარხნეებისათვის ნორმა აიღონ 40 დესეტინა მამული. ამასთანავე კომისიამ სასურველად მიიჩნია ზემოდ დასახელებულ რაიონში სანიმუშო სარძეო ფერმების დაარსება და მესაქონლეობის მოწყობა. გადაწყდა: ამ საქმის სისრულეში მოსაყვანად დაარსდეს სპეციალისტებისაგან შემდგარი კომისია.

◆ **მილიციის აგენტები,** რომლებმაც ამ დღეებში შეურაცხყოფა მიაყენეს თავისი უტაქტო საქციელით სომხეთის დელეგაციის წევრთ, შინ. საქ. მინისტრის მოადგილის განკარგულებით დათხოვნილი არიან სამსახურიდან. ამასთანავე გაცემულია სასტიკი ბრძანება, რომ მილიციის მოხელენი და აგენტები განსაკუთრებული პატივისცემით და ზრდილობით ეპყრობოდნენ უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენელთ.

◆ **ნოვოროსიისკიდან ფოთის ნავთსადგურში** მოვიდა გემი „ეკატერინე“, რომელმაც ყუბანიდან ჩამოიყვანა სომეხ ლტოლვილთა პირველი პარტია. ინგლისის ნაღმოსანი სტამბოლიდან მოსულ ბრძანების თანახმად ნოვოროსიისკს გაემგზავრა საქმეთა ვითარების გამოსაკვლევად.

◆ **ბარნოვის იუბილე.** დღეს სექტ. 5 ქ. სიღნაღში გადაიხდიან ვასილ ბარნოვის 30 წლის მოღვაწეობის იუბილეს. ბარნოვის შემოქმედებაზე მოხსენებას წაიკითხავს გ. ლეონიძე. მონაწილეობას მიიღებენ კოტე მაყაშვილი, დუტუ მეგრელი, სანდრო შანშიაშვილი და სხვ.

◆ ხონის რაიონულ ს.-დ. კომიტეტისაგან რაფ. ჩიხლაძის ობლების სასარგებლოთ მივიღეთ ათასი მანეთი, რომელიც შეგროვილია განსვენებული ამხანაგის სურათების გაყიდვით (სურათები კომიტეტს გადასცა დ. კაკაბაძემ.)

◆ **სახალხო გვარდიის დღესასწაული ბათუმში.** ბათუმის დემოკრატიამ გადასწყვიტა 26 სექტემბერს დიდის ამბით იდღესასწაულოს სახალხო გვარდიის დაარსების წლის თავი. განზრახულია ბათუმში გაიმართოს ჯარისა და გვარდიის აღლუმი და სახალხო სეირნობა, რომლის შემოსავალიც მოხმარდება გვარდიაში კულტურულ განმანათლებელ საქმეებს. აგრეთვე ამ შემოსავლიდან აღმოუჩენენ დახმარებას ომში დახოცილ გვარდიელთა ოჯახებს. ბათუმის სახალხო გვარდიის საოლქო შტაბთან დღესასწაულის მოსაწყობად დაარსდა სპეციალური კომიტეტი. კომიტეტთან დაარსდა ორი სექცია: ფინანსიურ სამეურნეო და მუსიკალურ-თეატრული.

◆ **ვალიუტის შესახებ.** მთავრობამ იმსჯელა ქართული ბონების კურსის განსამტკიცებლად ღონისძიებათა მიღების შესახებ და დადგინა: საკანონმდებლო წესით, უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს დაარსებამდე, დაარსონ განსაკუთრებული თათბირი ფინანსთა მინისტრის თავმჯდომარეობით და მომარაგებისა და მიწად მოქმედების მინისტრებისა, სახელმწიფო კონტროლიორისა და სახელმწიფო ბანკის მმართველის მონაწილეობით. ამ თათბირს უფლება ექნება სავალდებულო დადგენილების გამოცემისა შემდეგ საკითხების შესახებ: ა) რესპუბლიკის საზღვრებში სავალიუტო ოპერაციების შესახებ, ბ) საჭიროების დროს ამ ოპერაციების შეზღუდვისა და იმ დაწესებულებათა დახურვის შესახებ, რომელიც მუშაობს სავალიუტო ოპერაციებზე. გ) საგარეო ვაჭრობის მოწესრიგების შესახებ. 2) ყველა ფული, გარდა ამიერ-კავკასიის და საქართველოს ბონისა, გამოცხადდეს უცხო ვალიუტათ. 3) სახელმწიფო ბანკთან დაარსდეს სავალიუტო ფონდი, რომელსაც გადაეცეს მთავრობისა და მისი ორგანოების მიერ წარმოებულ სავაჭრო ოპერაციებისა და ხელშეკრულებებიდან შემოსული უცხო ვალიუტის 25%. 4) ზემოთ ჩამოთვლილ ღონისძიებათა განხორციელება მიენდოს სახელმწიფო ბანკს. 5) განსაკუთრებულ თათბირის დადგენილებათა დამრღვევნი დაისჯებიან ადმინისტრატიული წესით და დამნაშავეთ, თუ აღმოაჩნდა უცხოეთის ვალიუტა, ჩამოერთმევა და გადაეცემა სავალიუტო ფონდს. 6) მიეცეს სახელმწიფო ბანკს სესხის სახით სამრეწველო თანხიდან 1 მილიონი მანეთი ზემომოყვანილ დადგენილებათა ცხოვრებაში გასატარებლად საორგანიზაციო სამუშაოდ და სხვა ხარჯების დასაფარავად იმ პირობით, რომ ფინანსთა სამინისტრომ მაშინვე, როგორც კი გაიხსნება დამფუძნებელი კრების სხდომები გამოითხოვოს საჭირო კრედიტი. 7) ყველა დაწესებულებამ მიიღოს ზომები ხაზინის ინტერესების დასაცავად. 8) როგორც კი გაიხსნება დამფუძნებელი კრება, შეიტანონ იქ პროექტი უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს დაარსების შესახებ. სახელმწიფო ბანკის მოხსენებაში აღნიშნული საკითხები შემუშავებულ იქნას უფრო დეტალურად და შემდეგ განსახილველად წარედგინოს მთავრობას მახლობელ სხდომაზე.

◆ **მარგანეცის ექსპორტი.** სექტემბრის 2 შრომის მინისტრის ამხანაგის ა. ბახტაძის თავმჯდომარეობით ფოთში „ჩემის“ წარმომადგენლებისა და მარგანეცის მტვირთავ მუშების თათბირი შესდგა. თათბირის მიზანი იყო მუშების ჯამაგირების 50%-ით გადიდების საკითხის განხილვა. საკითხის განხილვის შემდეგ თათბირმა შემდეგი დადგენილება მიიღო: 1) ფოთის მარგანეცის მტვირთავ მუშების ჯამაგირები ძლიერ მცირეა. 2) ჯამაგირები უნდა გადიდდეს ისე, რომ მარგანეცის თითო ფუთის ვაგონიდან პლატფორმაზე და პლატფორმიდან ვაგონში და გემზე გადატვირთ-გადმოტვირთვისათვის მუშას მიეცეს 2 მ. დასასრულ თავმჯდომარემ სურვილი გამოსთქვა, რათა მხარეებს შორის ყველა საკითხის გარშემო სრული შეთანხმება მოხდეს, რაც საჭიროა შრომის ნაყოფიერების გასაძლიერებლად.

◆ **ტელეფონის სკოლა.** ფოსტა და ტელეგრაფის სამინისტრო იღებს თხოვნებს იმ პირებისაგან, რომლებსაც ფოსტა-ტელეგრაფის და ტელეფონის სკოლაში სურთ შესვლა. სკოლაში მიიღებიან საქართველოს ქვეშევრდომნი ორივე სქესისა 18—25 წლამდე, არა ნაკლებ საშუალო სასწავლებლის 4 კლასის განათლებით, ან-და უმაღლეს პირველ დაწყებით სასწავლებელში კურსდასრულებულნი. მეცადინეობა ერთ წლიწად გაგრძელდება, მოწაფეები ყოველთვიურად 1000 მანეთს დახმარებას მიიღებენ. თხოვნების მიღება სექტემბრის 16-მდე გაგრძელდება.

◆ **საქართველოს წითელი ჯვარი.** მთავრობის დადგენილებით შეიცვალა საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების წესდება. თანახმად წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის წინადადებისა წესდებაში შეტანილი იქნა შემდეგი სამი ახალი მუხლი: 1) საქართველოს წითელი ჯვარი ხელმძღვანელობს 1868 და 1896 წლებში ჟენევაში მომხდარ კონფერენციის პრინციპებით და აგრეთვე 1897 წლის საზღვაო ბრძოლის კანონებით; 2) საქართველოს წითელ ჯვარს საქართველოს მთავრობა აღიარებს სამხედრო-სანიტარულ ნაწილის დამხმარე დაწესებულებათ; 4) საქართველოს წითელი ჯვარი თავის მოქმედების დროს ხელმძღვანელობს იმ საერთაშორისო სოლიდარობით, რომელიც სხვადასხვა სახელმწიფოების წითელი ჯვრის საზოგადოებებს ერთ საერთაშორისო კომიტეტში აერთიანებს. წესდების მეათე პარაგრაფი შემდეგნაირად გადაკეთდა: საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებას თავის შემადგენლობაში შეუძლია მიიღოს საპატიო წევრები და ქველმოქმედები.

◆ **ფოთიდან** შემდეგი დეპეშა მივიღეთ: ფოთის ფოსტა-ტელეგრაფ-ტელეფონის მოსამსახურეთა საერთო კრებამ 1 სექტემბერს მოისმინა რა მოხსენება ჯამაგირის მომატების შესახებ, დაადგინა: ვინაიდან გადაწყვეტილი მომატება ნახევრადაც ვერ აკმაყოფილებს მოსამსახურეთა მინიმალურ მოთხოვნილებას, მიმართოს შრომის სამინისტროს და სატარიფო პალატას, რათა აღძრას სასწრაფო შუამდგომლობა სადაც ჯერ არს, რომ მოსამსახურეებს გაუდიდდეთ პურის რაციონი და მიეცეთ სხვა სურსათ-სანოვაგე დაკლებულ ფასებში, აგრეთვე ამ თავითვე იქნას მიღებული ზომები მომავალ ზამთრისთვის მოსამსახურეთა იაფ-ფასიან თბილ ტანისამოსით, ფეხსაცმელით და შეშით უზრუნველსაყოფათ.

◆ **ქალაქის სასურსათო განყოფილების საყურადღებოთ.** რედაქციაში მოდის საყვედურები ქალაქის სასურსათო განყოფილებაზე სხვა და სხვა უბნებში ნავთის არა წესიერათ განაწილების შესახებ; სხვათა შორის, გუშინ შემოვიდა ერთი ხაზში შესული მანდილოსანი, რომელმაც განაცხადა შემდეგი: ნავთის ყიდვა ცალკე მოვაჭრეებთან შეუძლებელია სიძვირის გამო. ხოლო სასურსათო კომიტეტის მიერ ნავთის დარიგება ბევრი უწესოება ხდება, მაგ. ორბელიანის ქუჩაზე მოიტანეს ნავთი და ისე უწესოთ განაწილეს, რომ ზოგს ბევრი შეხვდა, და ზოგს სრულიადაც არ შეხვდა, რაც მეტად მძიმე მდგომარეობაში აგდებს ხალხსო. რომ ამგვარი განაწილება ჩვეულებათ არ გადაიქცეს,—საჭიროა ქალაქის სასურსათო განყოფილებამ მიიღოს ზომები ამის წინააღმდეგ, რითაც ბოლო მოეღება საყვედურებს.

◆ **სახალხო გვარდიის** მთავარი შტაბის კულტურულ განმანათლებელი განყოფილების დადგენილების თანახმად, მოეწყობა გრანდიოზული საღამო-სეირნობები. რესპუბლიკის სხვა და სხვა დაბა ქალაქებში განყოფილებების ფონდის გასაძლიერებლად. პირველ რიგში ხსენებული საღამო-სეირნობები გაიმართება დასავლეთ საქართველოში და ბათუმის ოლქში, შემდეგ კი ტფილისში და აღმოსავლეთ საქართველოს დაბა ქალაქებში. ამის გამო კულტ. განმან. განყოფილებამ უკვე გაგზავნა დასავლეთ საქართველოში წარმომადგენლები: ილიკო ჟულელი და დიმიტრი ებრალიძე წინასწარ მუშაობისათვის.

◆ **სამტრედიიდან დაბრუნდა** საქ. პროფ. კავშ. ცენტრ. საბჭოს აღმ. კომიტეტის თავმჯდომარის ამხანაგი ალ. ხელაძე, რომელსაც დავალებული ჰქონდა სამტრედიის რაიონის რკ. გზელთა კავშირის გამგეობაში მომხდარ უთანხმოების გამო საზოგადო კრებაზე დასწრება და კონფლიქტის მოგვარებაში მონაწილეობის მიღება. მისი სიტყვით კონფლიქტი თითქმის ამოწურულია, ულტიმატუმი მოხსნილია და საკითხზე საბოლოო დასკვნის გამოტანა მინდობილი აქვს საქ. პროფ. კავშ. ცენტრ. საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს.

◆ **სახალხო გვარდიის კონფერენციის დადგენილებანი.** მთავრობამ მოიწონა სახალხო გვარდიის წარმომადგენელთა მეორე კონფერენციის დადგენილებანი სახაზინო ქონების მითვისებისა და მექრთამეობისათვის სასჯელის გაძლიერებისა და ერთ დაწესებულებაში დათხოვნილ მოსამსახურის მეორე დაწესებულებაში მიუღებლობის შესახებ, და დაადგინა: ეს გადაწყვეტილებანი პრინციპიალურად მიიღოს, ხოლო იუსტიციის მინისტრს დაევალოს შეიმუშაოს კანონპროექტი სახაზინო ქონების მითვისებისა და მექრთამეობისათვის სასჯელის გაძლიერების შესახებ. შინაგან საქმეთა სამინისტროს კი დაევალა შეიმუშაოს წესები, ერთ დაწესებულებიდან დათხოვნილი მოსამსახურის მეორე სახელმწიფო დაწესებულებაში მიუღებლობის შესახებ.

◆ **სამხედრო ტეხნიკური განათლება.** საინჟინერო-ტეხნიკურ ჯარების უფროსმა გენ. თაყაიშვილმა სამხედრო მინისტრს წარუდგინა მოხსენება, რომელშიაც იგი აღნიშნავს უმაღლეს სამხედრო ტეხნიკურ განათლების საქმის განვითარების საჭიროებას, რათა ამ გზით შეიქმნეს კადრი მომზადებულ სპეციალისტებისა საავტომობილო და საჰაერო საქმეში და აგრეთვე გაიზარდოს რიცხვი სამხედრო ინჟინრებისა. მოხსენებაში აღნიშნულია, რომ საკითხი უმაღლეს ტეხნიკურ საქმის განვითარების შესახებ შეიძლება გადაწყდეს ან საზღვარ გარეთ საუკეთესო ოფიცრების გაგზავნით, ან და ტფილისის პოლიტეხნიკუმთან სამხედრო ტეხნიკოსთათვის 2—3 წლის ვადიან საგანგებო განყოფილების გახსნით. გენ. თაყაიშვილი აღნიშნავს ევროპაში მფრინავების გაგზავნის საჭიროებას.

◆ **საწარმოვო ძალების განვითარება.** ფინანსთა სამინისტრომ მიიღო ხისაგან ქაღალდის კეთების სპეციალისტ როზენკრანცის შუამდგომლობა. როზენკრანცი აღნიშნავს იმ გარემოებას, რომ მას აქვს ხელთ გაუმჯობესებული ქაღალდის საკეთებელი მანქანები, ასე რომ, 7—8 თვის შემდეგ შეიძლება ქარხნის სავსებით ამუშავება. როზენკრანცი შუამდგომლობასთან ერთად აძლევს ქარხნის მოწყობის გეგმას და ხისაგან დამზადებულ საქონლის ნიმუშებს. ფინანსთა სამინისტრომ მთელი ეს მასალა შესასწავლად სპეციალისტს გადასცა. შუამდგომლობას სამინისტრო დადებითად უყურებს.

კრებები

ორშაბათს, 6 სექტემბერს, დანიშნულია ქალაქის საბჭოს ს. დ. ფრაქციის კრება. გასარჩევია სერიოზული კითხვები. ამხანაგებს სთხოვენ სრულ 6 საათზე მოიყარონ თავი.

პროვინციის ქრონიკა.

ხიდ. მესხეთში ამ დღეებში იხსნება მუშათა დემოკრატიული კლუბი, რის მოწყობაშიც ადგილობრივი მუშები ღებულობენ აქტიურ მონაწილეობას. კლუბის გამგეობა უცხადებს დიდს მადლობას სოსო გედევანიშვილს, რომელმაც უფასოთ მისცა კლუბის საჭიროებისათვის 5 წლით ერთი თავისი სახლი ბაღით.

ხარიტონ ვარდოშვილი.

ჩემი სოფელი.

1.

ღამე სულგანაბული
დაძინებულ სოფელით.
ყვავილებით ნაზური
ბალახები სოველი.

ხშირი ყეფა ძაღლების
და დედების ნანები.
ძველისძველი სახლები
და ზღვაური ყანები.

ატირება ქალური
ბახმაროის კვარისა;
განათება ალური
ნათლისმცემლის კარისა.

და თვალლია ცვარები
გულის გასახარელად.
ბაღში ვაშლის ჯვარები
იმედად და მფარველად.

ღრუბლებში დანამალი
მთვარე ღამის მისნადა.
დაყივლება მამალის
გათენების ნიშნადა.

2.

გათენდება.
ეზოში ჩამოვა იალონი [1])
ილვიძებს შადრევნები გაციებულ თვალებით.
მოდის ხმები შორიდან ნაზი, სატრფიალონი
წყაროზე მიმავალი სოფლის გოგო-ქალების.

ერთი წითელ ლოყება, გოგო ფეხებ შიშველი;
იტყვის გურულ კრიმანჭულს კრიალა ხმით, კაცურად.
მკვირცხლია და ჩქარია, როგორც დამფრთხალი შველი
წყალზე მიდის,—უდგია მხარზე ლამაზათ სურა.

ადგება მამაჩემი, ჩვენსას, ადრე ყველაზე
ყველაზე ყოჩაღია, ჭალარაში მყოფელი.
მე ვუყურებ დედაჩემს დილით ძროხის წველაზე.
უფრო შემიყვარდება ჩემი მყუდრო სოფელი.

---

[1]) იალონი იგივე ალიონი. გურიაში ასე ეტყვიან.

საბჭოთა რუსეთში

(გაზეთებიდან)

„ქალაქის განწმენდის კვირა“. ხარკოვში ანტისანიტარიასთან საბრძოლველად მოეწყო „ქალაქის განწმენდის კვირა“. არჩეულია ამ „კვირის“ მომწყობი კომისია, რომელიც „გუბტრაბოტის“ და „გვიდ“-ის დახმარებით და სანიტკატორის ხელმძღვანელობით აწარმოებს მუშაობას. (ხარკოვის „ბორბა“ № 167).

„საპროტესტო სუბოტნიკი“. ტულა, 27 ივლ. 24 ივლისს ინგლისელების ულტიმატუმის გამო პროტესტის ნიშნათ ტულაში გრანდიოზული სუბოტნიკი გაიმართა. („პროლეტარი“ № 33).

პურის გარშემო. მთელი უკრაინის ც. ი. კ—ის ყველა საბჭოთა დაწესებულებათა ცენტრალურ საკანტროლო კომისიის ბრძანება: ცენტრალურ კომისიას ცნობები მოსდის, რომ საბჭოთა ფურნეებში ცუდი ღირსების პური ცხვება. კომისიის თანამშრომლებმა გამოარკვიეს, რომ ამის მიზეზია არა მარტო ის, რომ წისქვილები ტეხნიკურად ცუდათაა მოწყობილი, არამედ უმთავრესად პურის გამოცხობასთან კავშირის მქონე დაწესებულებათა და პირთა დაუდევრობა გამოირკვა, რომ საბჭოთა ფურნეების გამგენი და მათი თანაშემწენი უთავბოლოდ ასრულებენ თავის მოვალეობას: ხშირად პურს აცხობენ მოუზელავ ცომისგან, გაუცრელ ფქვილისგან და ცხელცხელს აწვდიან მომხმარებლებს. წისქვილებზე ხშირათ აქვს ადგილი დამღუპველ დაუდევრობას და თვალყურს არ ადევნებენ ხორბლის ფქვას, რის გამოც ფქვილი ცუდი ღირსებისა გამოდის და ქუჟკით სავსე. ფქვილის გაცემის დროს ადგილი აქვს დაუშვებელ კანცელიარულ ვოლოკიტას, რაც აფერხებს პურის ცხობას. მთელი კვირაობით წისქვილები ვერ ღებულობენ საჭირო სარემონტო მასალას. საბჭოთა დაწესებულებებში ადგილი არ უნდა ჰქონდეს ბიუროკრატიზმის, „კანცელიარშჩინის“ და დაუდევრობის დამღუპველ მოვლენებს. დამნაშავენი პასუხის გებაში იქნებიან მიცემული. (ხარკოვის „კომ.“ № 174).

რკინის გზაზე

შორაპნის რაიონის რკინისგზელთა კავშირის სექციების გამგეობათა სხდომა უაღრეს დანაშაულად სთვლის სამტრედიის რაიონის იმ მუშა-მოსამსახურეთა საქციელს, რომელთაც დაარღვიეს კავშირის წესდება და მიმართეს ანარქიულ და დეზორგანიზატორულ საშუალებებს თავისი მიზნების განსახორციელებლად. სხდომა ასეთი საქციელისათვის პროტესტს უცხადებს მათ და მოუწოდებს წესიერებისაკენ. შორს ჩვენგან დეზორგანიზატორული ხელები! არ უნდა გვავიწყდებოდეს, რომ საქართველოს დემოკრატიას კისერზედ აწევს მძიმე მოვალეობა, ის აწარმოებს აღმშენებლობითი მუშაობას. ჩვენ ცენტრალურ კავშირის გამგეობასთან ვართ, ველით მისგან საქმის გადასინჯვას და სამართლიან განაჩენს.

შორაპნის რაიონული გამგეობის თავმჯდომარე **დეკანოზიძე.**

——

ნავთლუღის რაიონის კავშირის გამგეობა გამოსთქვამს თავის გულისწყრომას და უსაზღვრო აღშფოთებას სამტრედიაში უპასუხისმგებლო პირების საქციელის გამო, რომლებმაც გაფიცვის სახით მოინდომეს კავშირის მუშაობაში დეზორგანიზაციის შეტანა და მით კავშირის მთლიანობის დარღვევა. თანამედროვე ეკონომიურ პირობებში, როდესაც სახელმწიფოს მდგომარეობა ისედაც გართულებულია, ყველა შეგნებული მოქალაქის მოვალეობას შეადგენს ანგარიში გაუწიოს მის ასეთ მდგომარეობას და ხელი შეუწყოს სახელმწიფოს განმტკიცებას და აღორძინების საქმეს.

რაიონული გამგეობა ყველას გასაგონათ აცხადებს, რომ სამტრედიაში მომხდარ გამოსვლას არავითარი გასამართლებელი საბუთი არ აქვს და ის შედეგი არის კერძო ინტერესებით მომქმედ პირთა მოღალატური მუშაობის. კავშირის გამგეობა სავსებით იზიარებს რა ცენტრალურ გამგეობის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს, მოითხოვს, რომ ასეთ ინტრიგან პირთა წინააღმდეგ მიღებულ იქნას უსასტიკესი ზომები.

ნავთლუღის რაიონული გამგეობის თავმჯდომარე **ხ. ეღენტი.**

ღია წერილი

სუფსის თემის გამგეობას და ხმოსნებს.

მოქალაქენო, მე ვაძლევ ჩემს თავს ნებას მოგმართოთ თქვენ ერთი შეკითხვით, რომელსაც, ჩემის აზრით, აქვს საზოგადოებრივი ხასიათი.

საქართველოს რკინის გზის სასურსათო კომიტეტის დავალებით სამტრედიის რაიონის გამგეობის თავმჯდომარეს შეუძენია სიმინდი, რომელიც გაუყიდია მოქალაქე გიორგაძეს. ამ ყიდვის გარშემო ატეხილია დიდი აურ-ზაური სამტრედიის რაიონში. ხალხი კრებებს მართავს, ღელავს, აუარებელ ენერგიას ხარჯავს, ზოგიერთი პირების ზნეობრივი სიფაქიზეზედ იერიშია მიტანილი როგორც ერთი მხრივ, ისე მეორე მხრივ.

ამ რამდენიმე დღის წინ მე შემთხვევა მქონდა დავსწრებოდი ერთ დიდ ყრილობას, სადაც წარმოდგენილი იყო საბუთი, **ხელმოწერილი სუფსის გამგეობის თავმჯდომარის ამხანაგის ქარჩავას მიერ,** რომელიც აღნიშნავს, რომ სიმინდი იყიდა კიკაბიძემ გიორგაძისგან 330 მანეთად ფუთი. მეორე მხარემ კრებას წარუდგინა მოწმობა **ხელმოწერილი თემის თავმჯდომარის მიერ, რომელიც აღნიშნავს, რომ სიმინდი** შეიძინა ბერძენიშვილმა და არა კიკაბიძემ, ამ თქვენი გამგეობის მიერ გაცემულ ორი დოკუმენტის გარშემო, რომელნიც სხვა და სხვა აზრს შეიცავენ, დიდი კამათი იყო და აუარებელი საზოგადოება ანდომებდა დიდ დროს იმას, თუ რომელი საბუთია უფრო სანდო.

კეთილ ინებეთ, მოქალაქენო, და გვიპასუხეთ გაზეთის საშუალებით, რომელ დოკუმენტს ენდოს საზოგადოება. როგორც მოგახსენეთ სხვა კითხვათა შორის, ეს კითხვაც აღელვებდა სამტრედიის რკინის გზის მუშა-მოსამსახურეთა კრებას. მე საჭიროდ მიმაჩნია სუფსის თემის ხმოსანთა ყრილობამ დაამტკიცოს ამ დოკუმენტების შინაარსის სიმართლე.

იმედია პასუხს არ დაიზარებთ და თქვენ მიერ დაშვებულ შეცდომის გასწორებით ხელს შეუწყობთ სრულ სიმართლის აღდგენას, რომელიც ჩემთან ერთად სხვებსაც აინტერესებს.

პატივისცემით, დამფუძნებელი კრების წევრი **ნიკ. თევზაძე.**

რას აკეთებს საბინაო განყოფილება?

სურსათ-სანოვაგის საკითხთან ერთად, ბინის საკითხი თანდათან მწვავე ხასიათს ღებულობს.

დემოკრატიის ის ნაწილი, რომელიც მთელ თავის დროს და ენერგიას რესპუბლიკის კეთილდღეობას ანდომებს, ნესტიან სარდაფებშია მიკუნჭული, ან ქუჩაში გამოყრილი.

ამავე დროს, სხვა და სხვა ჯურის სპეკულიანტები თუ ძველი რეჟიმის მსახურნი თავისუფლად სცხოვრობენ კარგ ბინებში, სადაც სამი ოთხი მუშის ოჯახი თავისუფლად მოთავსდებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ თავისუფალი ოთახები ბევრად მეტია, ვინემ წინედ მაინც სპეკულაცია ბინებზე უმაღლეს წერტილამდე ავიდა.

ქალაქის საბინაო განყოფილებამ, ხომ ვერ დასდო წამალი სენს. საზოგადო საქმე ნათლიმამობამ ჩაყლაპა...

ცნობის მიღებაც შეუძლებელია თავის დროზე, ვინაიდან გარდა ერთი ქალისა, ვერც ერთი გარკვეულ პასუხს ვერ მოგცემს. მთხოვნელების მიღებაც არა ნორმალურად ხდება. რიგს გარეშე „საპატიო პირები“ ერთი ხელის დაქნევით, უკანა კარებიდან შედიან და დაუყონებლივ ღებულობენ საჭირო ცნობებს. რიგში მყოფთ მთელი თვეობით უხდებათ საბინაო განყოფილების კარებთან დარაჯობა, რომ ეღირსონ რაიმე ცნობის მიღებას.

სამი თვე არის, რაც ამ საზღაპრო სიძვირეში უკანასკნელი ჩემები გამიცვეთია, საუკეთესო დრო გამიცდენია და ვერაფერი მიმიღია, მიუხედავათ იმისა, რომ ოთახებიც უჩვენე და თავისი დასკვნაც გამოიტანა ოთახების სარეკვიზიციო კომისიამ, და იმავე დროს საპატიო შუამდგომლობაც წარვადგინე სხვა და სხვა ორგანიზაციებიდან და ბოლოს იძულებული ვიყავ მთავრობის თავმჯდომარისათვის მიმემართა თხოვნით ბინის შესახებ. მიუხედავათ ყველა ამდენი ცდისა, მე მაინც ვერ ვეღირსე ბინის მოცემას და ამ ნაირათ, თითქმის ნახევრად ქუჩაში ვიმყოფები.

სუსხიანი ზამთარი კარებზე გვიკაკუნებს და ამას ყურადღება უნდა მიექცეს. საჭიროა მანამდე ვიფიქროთ ბინის საკითხის მოწესრიგებაზე, ვიდრე გვიანი არ არის... **ბესიკი.**

ამხ. სიმონ ხუხუნაიშვილის ხსოვნას

ამ დღეებში ერთი წელი შესრულდება რაც თვითმკვლელობით წუთისოფელს გამოესალმა ამხ. სიმონი.

ბევრი გვარდიელი, ჯარისკაცი და აფიცერი შეეწირა თავისუფლებისათვის ბრძოლას, ბევრი გამოესალმა წუთისოფელს, ბევრი დასახიჩრდა და როცა იგინებ საერთოდ ჩვენი ხალხის განუწყვეტელ ბრძოლას თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, არ შეიძლება ყველა ეს გმირები თვალწინ არ დაგიდგეს.

მაგრამ, სამწუხაროთ, სიმონის თვითმკვლელობა განსაკუთრებულ პირობებში მოხდა და ამიტომაც განსაკუთრებული მწუხარება გამოიწვია ყველა მის ნაცნობ-ამხანაგ ნათესავებში.

ვინც სიმონას ახლოს გაიცნობდა, უსათუოდ შეუყვარდებოდა. სიმონი იყო მთლიანი პიროვნება, თავმდაბლობა, თავაზიანობა, ზნეობრივი სისასტიკე, გამბედაობა მის თვისებას შეადგენდა.

ის იყო ჩვენი საუკეთესო ამხ. შეგნებული, ძველი სოციალდემოკრატი, რომელსაც ერთხელ არჩეული გზისათვის არასოდეს არ გადაუხვევია.

სიმონი ერთგულ დარაჯათ ედგა რევოლიუციას, იგი თავის გამბედაობით და თავგანწირულ ბრძოლით მაგალითის მაჩვენებელი იყო ამხანაგებისათვის. სახალხო გვარდიის ყველა გამოსვლებში სიმონა მხურვალე მონაწილეობას იღებდა და გვარდიის ნაწილების საუკეთესო ხელმძღვანელად ითვლებოდა. და თუ ასეთი ღირს-შესანიშნავი როლი ითამაშა პატარა სიმონამ, თავის ხანმოკლე სიცოცხლეში, რაღა იქნებოდა მომავალში რომ კიდევ დასცლოდა.

დღეს როდესაც ჯერ კიდევ არ მოსპობილა გარეშე მტრის საფრთხე და ამავე დროს ვხედავთ, რომ ხალხის სიცოცხლის და თავისუფლების მტრები არღვევენ შინაურ ცხოვრებას აი, ასეთ დროს, ასეთ მებრძოლ ამხანაგების დაკარგვა, დიდი დანაკლისია.

ამხ. სიმონი მართალია ყველა შენი ნათესავ-მეგობრები ძალზე გასაყვედურებენ, რომ შენი ხელით გამოასალმე შენივე თავი ამ წუთისოფელს, მაგრამ მიუხედავათ ამისა, შენი ხსოვნა და ამაგი, სამარადისოთ დაუვიწყარი დარჩება მათ გულში.

თეოფანე შემო აკეთელი.

ს.-დ. პარტიაში

ს. სვირი. 28 აგვისტოს შესდგა სვირის ს.-დ. ორგანიზაციის წევრთა კრება, რომელზედაც ვრცელი მოხსენება გააკეთა ს. ედიბერიძემ ს. ს. დ. მუშ. პარ. მეორე ყრილობის შესახებ. შეკითხვების შემდეგ, რაზედაც მოხსენებელმა დამაკმაყოფილებელი პასუხი გასცა, იქნა გამოტანილი შემდეგი რეზოლუცია: „სვირის საქ. ს.-დ. მუშათა პარ. საზოგადო კრებამ მოისმინა რა ამხ. ს. ედიბერიძის მოხსენება საქართველოს სოც.-დემ. მუშ. პარ. მეორე ყრილობის მუშაობის შესახებ, იწონებს ყრილობის მიერ მიღებულ რეზოლუციებს, კმაყოფილია ცენტრალური კომიტეტის მუშაობით და მზათ იქნება მხარი დაუჭიროს ყრილობის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს ჩვენი პროგრამის მინიმუმ-მაქსიმუმის ცხოვრებაში გატარებაში.

მეორე საკითხი იყო პარტიული მუშაობა ადგილობრივად. პარტიულ მუშაობაზე ვრცელ მოხსენებას აკეთებს ედიბერიძე. პარტიული მუშაობა ამ სოფელში არ დგას თავის დონეზე მიუხედავათ იმისა, რომ აქ არის ბევრი ინტელიგენტური ძალები. ადგილობრივ ინტელიგენციას ვერ გამოუჩენია უნარი ხალხში მუშაობისა. ძველი ერობის გადამდგარ გამგეობის მაგიერათ აირჩიეს ახალი გამგეობა, რომელსაც სათავეში ჩაუყენეს გამოცდილი მოღვაწე მასწავლებელი ამხ. ბეს. ჯულელი. მან ამ ახალ სამსახურში შესვლისთანავე დაუახლოვა მთელს ხალხს და გააცნო გეგმა თავისი მომავალი მოღვაწეობისა ხალხმა მოიწონა მისი აზრები და დაპირდა დახმარებას. მის მიერ მოწვეულ ყრილობაზე ზოგიერთ უპასუხისმგებლო პირებმა შეეცადენ ხალხში აღელვება შეეტანათ, მაგრამ ამაოთ.

პარტიული მუშაობის გაღვივებისათვის კრებამ საჭიროთ აღიარა, უპირველეს ყოვლისა, სასტიკი გაცხრილვა ორგანიზაციისა, რომელშიაც შეპარულან რამდენიმე არა სასურველი პირები. წინა კრებაზე პარტიიდან გააძევეს მასწავლებელი ვალოდია პოროფ. ჯულელი, რომელსაც აშკარათ ბრალდება ეუარებელი ბოროტ-მოქმედება მიწების განმანაწილებელ კომისიაში. ამ კრებაზე კი პარტიიდან გარიცხეს სოფლის მუშა ბაგრატი რობაქიძე.

28 აგვისტოდან იმედია სვირის ორგანიზაციაში პარტიული მუშაობა დადგება თავის დონეზე. კრების გადაწყვეტილებაა: თვეში ორხელ და უკიდურეს შემთხვევაში, ერთხელ აუცილებლათ უნდა ხდებოდეს საზოგადო კრება, რომლის დღის წესრიგის 2-რი მუხლი ახლავე შეიმუშავა კრებამ: 1) მოხსენება მომენტზე და 2) პარტიული პროგრამის შესწავლა. ვიმედოვნებთ რომ თუ ამ ორგანიზაციის წევრები დღეს რამდენიმე ათეულია (90 წევრია), რამოდენიმე თვის შემდეგ ის ასეულებათ იქცევა და ფართო ასპარეზი გაეშლება მის მიერ დასახული მიზნის შესასრულებლათ.

ხევ. კუნკული.

საჩხერის რაიონი. ჩვენს რაიონ'ში პარტიული მუშაობა გამოცოცხლდა, დღემდის თუ მარტო საჩხერეში არსებობდა იაჩეკა და რაიონული კოლექტივი, დღეს კი ყველა თემებში არსებობს თემის კოლექტივები, და სოფლათ კი ქვეკოლექტივები, სადაც ბლომათ ეწერებიან წევრები. თვით საჩხერეში დაარსდა ქალთა პარტიული წრე, სადაც 40—50 ადის წევრთა რიცხვი, არის მათთან მეცადინეობა, რომელსაც აწარმოებს ამხ. შალვა ჰუმბურიძე, ყველა ქვეკოლექტივებს აქვს გამოწერილი გაზეთები, „ერთობა“ და „სოფლის მუშა“. იმართება ყოველთვის ყოველ ორ კვირაში პარტიული კრებები, სადაც არჩევენ სხვა და სხვა საჭირბოროტო კითხვებს. კრებებს ესწრება თითქმის ყველგან რაიონის პროპაგანდისტი ამხ. შ. ჰუმბურიძე.

საჩხერის რაიონულმა კოლექტივმა დიდი ყურადღება მიაქცია საჩხერეს მთაში რკინის გზის ექსპლოატაციის მუშებს, რომლებიც ყოველგვარ გაჭირვებას განიცდიდა, ვინაიდან მათზედ ბატონობდენ სხვა და სხვა მოხეტიალე მოიჯარადრენი და ვერ სარგებლობდენ იმ უფლებით, რომლითაც სარგებლობენ სხვაგან მუშები. კოლექტივმა გამოყო კომისია, რომელმაც მოახდინა მუშების რეგისტრაცია, გამოუძახა შრომის სამინისტროს რწმუნებულს ჯაჯანიძეს და მოაწყო მათი პროფესიონალური კავშირი, ეს საქმე უკეთესად მოაგვარა რაიონულმა კოლექტივმა. ქვეკოლექტივი სხვა ასეთ საკითხებს ჯეროვან ყურადღებას აქცევს.

შალიკო ხვადაბუნელი.

ავლაბარი

სახალხო თეატრი.

ავლაბარი ის კუთხეა თფილისისა, სადაც პირველად ჩაეყარა საფუძველი სახალხო თეატრს, რომელიც აწვდიდა სულიერ და კულტურულ საზრდოს ხალხს. ავლაბრის სცენა სწორედ ის აკვანია, რომელმაც გამოუზარდა საუკეთესო სასცენო მოღვაწეები თფილისის სხვა უბნის სახალხო თეატრებს. ეს სცენა იყო ერთ და იმავე დროს არა-ლეგალური პოლიტიკური ტრიბუნა. საერთოდ, უნდა ვსთქვათ, რომ დიდი როლი აქვს შესრულებული ავლაბრის სახალხო თეატრს თფილისის მუშათა კლასის პოლიტიკურ-კულტურულ ცხოვრებაში. შედარებით წარსულთან, დღევანდელი მდგომარეობა ავლაბრის სახალხო თეატრის (ეხლა მუშათა კლუბისა) უმწეოა. ეხლა არის ის მისწრაფება ავლაბრის საზოგადოებისა თეატრისადმი, როგორც იყო წინად. ხალხი თავისუფალ დროს ატარებს მხოლოდ დუქნებში. სამაგიეროთ, არის დრო, როდესაც კლუბის დარბაზი ხალხს ვეღარ იტევს, ეს მაშინ, როცა თამაშობენ აზიურ ოპერეტკებს: „არშინ მალალან“, „აშულ ღარიბ“ და სხვა.

სამწუხაროდ, იმ დღიდან, რაც ამგვარი ოპერეტკები გაჩნდნენ, ავლაბრის საზოგადოების გონება თეატრალურ დარგში გაიყინა ამ უკანასკნელზე. დრამა დაეცა. მართალია, ვერც აწ არსებული ქართულ-სომხური დრამატიული წრეები გამოდიან იმ ვიწრო განსაზღვრულ რეპერტუარიდან, რომელსაც შეადგენენ რამოდენიმე ისტორიული, კლასიკური ორგინალური დრამები და კომედიები, მაგრამ თუ მივაქცევთ ყურადღებას, ყველა მუშათა კლუბებში ასეა, ვინაიდან ჯერ ერთი, რომ სცენის მოყვარეთა შემადგენლობას მეტი ვერ მოეთხოვება, და მეორე ტეხნიკურად შეუძლებელია ამ სცენებზე დიდი პიესების დადგმა. მაგრამ, დრამას, როგორიც არ უნდა იყოს იგი, შეუძლია მეტი სარგებლობის მოტანა საზოგადოებრივ თვითგანვითარებისათვის, ვიდრე ქვევით ჩამოთვლილ უაზრო ოპერეტებს. ამიტომ. მიეცეს მას ფართო სამოქმედო ასპარეზი, საჭიროა მომავალ საზამთრო სეზონში ქართულ-სომხურ დრამატიულ წრეების კლუბის გამგეობასთან შეერთებული მუშაობა შემდეგი წესით: 1) მიემართოს პრესით და სიტყვიერ მოწოდებით ავლაბრის დემოკრატიას, რათა მან ხელი შეუწყოს საერთოდ მუშათა კლუბის დანიშნულების განხორციელებას ცხოვრებაში; 2) მეტი სიყვარული და პატივისცემა დრამისადმი; 3) შედგენილ იქნას ქართულ-სომხური რეპერტუარი; 4) შედგენილ იქნას აგრეთვე კლუბის სხვა ფუნქციათა პროგრამა; 5) მიეცეს დრო-გამოშვებით ოპერეტკების დადგმა დრამატიულ წრეებს და ამით ერთხელ და სამუდამოთ ჩამოშორებულ იქნან მუშათა კლუბიდან კერძო პირნი, რომელნიც თავიანთ ჯიბეს სწირავენ საზოგადოებრივ ინტერესებს და მუშათა კლუბი თავის ცხოვრების წყაროთ გადაუქცევიათ.

ეპი.

მუშათა შორის

პროფესიონალურ კავშირთა სეკრეტარიატში

(12 სექტემბრის სხდომა)

თავმჯდომარეობს ამხ. გიორგაძე. ტრამვაის მოსამსახურეთა კავშირმა მიმართა პროფ. კავშ. საბჭოს სეკრეტარიატს განცხადებით, რომ მოსამსახურეთა საზოგადო კრებამ დაადგინა წარუდგინოს ქალაქის გამგეობას შემდეგი მოთხოვნილებები: 1) დაცულ იქნას ის განსხვავება, რომელიც არსებობდა სხვა და სხვა კატეგორიის—მოძრაობის, პარკის და ელექტრონის სადგურის მოსამსახურეთა ჯამაგირებს შორის 1914 წლ., 2) ერთი თავისუფალი დღე კვირაში ჯამაგირის შენახვით, 5) კვირა დღეს მუშაობისათვის გარკვეული ხელფასის მოცემა, 4) ზედმეტი მუშაობა მე-2 და მე-3 სმენისა, (მეორე სმენაში მუშაობა გრძელდება 7 საათი, და მე-3-ში—6 საათი) უნდა დაჯილდოვდეს ფაქტიური და არა 8 საათის სამუშაო დღის მიხედვით, 5) ზედმეტ მუშაობაში, რომელიც აღემატება დეკრეტში აღნიშნულ 4 საათს, უნდა მიეცეს მუშებს გასამკეცებული ხელფასი.

რადგან ტრამვაის მუშების მიერ წარდგენილი მოთხოვნილებათ— პრინციპიალური მნიშვნელობა აქვს და ამასთან მეტად რთულია, სეკრეტარიატმა დაადგინა: თვითეული მოთხოვნილება ცალკე გაარჩიოს. სხდომაზე იმყოფებიან აგრეთვე მუშებისა და ტრამვაის ადმინისტრაციის წარმომადგენელნი.

პირველ პუნქტის განხილვამ გამოიწვია დიდი და ცხარე კამათი.

ამხ. **ჩხარტიშვილი**, მიუთითებს იმაზე, რომ ეს მოთხოვნილება გამოიწვია შემდეგმა გარემოებამ: ზოგიერთი შავი მუშები რევოლუციის შემდეგ იღებენ უფრო მეტს. ვიდრე ზოგიერთი ხელოსანი მოსამსახურენი.

ცენტრალურ ელექტრონის სადგურის მუშების წარმომადგენელი ამბობს, რომ სადგურის მუშები, რომლებიც წინად იღებდნენ უფრო მეტ ჯამაგირს, ვიდრე სახელოსნოების ხელოსანი მუშები, ეხლა იღებენ 7—8 ათას მანეთს თვეში იმ დროს, როდესაც სახელოსნოებში იღებენ 30—40 ათას მანეთს—იმის გამო, რომ იქ ადმინისტრაციამ შემოიღო პრემიალური სისტემა.

ადმინისტრაციის წარმომადგენელი ამტკიცებს, რომ 1914 წლამდე არსებული დაყოფა მოსამსახურეებისა—უკვე დაძველებულია და იმის დაბრუნებას არა აქვს აზრი. რაც შეეხება იმ საკითხს, რომ მოსპობილია განსხვავება სხვადასხვა კატეგორიის მოსამსახურეების ჯამაგირებს შორის,—ამისათვის ადმინისტრაცია ვერ აგებს პასუხს, რადგანაც ხელფასს განსაზღვრავს სატარიფო პალატა.

ამხ. **ჩხენკელი** აღნიშნავს, რომ ხელოსან მუშებს აქვთ უფლება მოითხოვონ უფრო მაღალი ხელფასი, მაგრამ ამბობს, რომ ეხლანდელ ეკონომიურ პირობებში გვიხდება არა იმ მოსაზრებით ხელმძღვანელობა, რომ რაც შეიძლება სამართლიანათ ხდებოდეს შრომის შეფასება, უნდა ვიხელმძღვანელოთ იმით, რომ მუშას შეეძლოს თავის ხელფასით ცხოვრება. ამით ხელმძღვანელობდა სატარიფო პალატა, როდესაც აწესებდა მომატებას უკუღმა პროპორციულად ხელფასის სიდიდისა. შეგნებულმა მუშებმა ანგარიში უნდა გაუწიონ ამას და არ უნდა განაცხადონ პროტესტი იმის წინააღმდეგ, რომ ხელოსან მუშების ხელფასი, ეკონომიურ პირობებთა გაუმჯობესებამდე, უთანასწორდება შავი მუშის ხელფასს.

ამხ. **დობორჯგინიძე** აღნიშნავს, რომ რევოლუციამდე მუშათა კლასი იბრძოდა ჯამაგირებს შორის დიდი განსხვავების მოსასპობათ. ეხლა სამუშაო ხელფასის რაოდენობის გამოცვლის გამო, შეუძლებელია ჯამაგირების წინანდელ შეფარდების შენარჩუნება და ლაპარაკი შეიძლება მხოლოდ მუშების სხვა და სხვა კატეგორიებათ სწორეთ დაყოფის საკითხის გადასინჯვაზე.

კამათის შემდეგ სეკრეტარიატმა გამოიტანა შემდეგი დადგენილება: 1) ტრამვაის მოსამსახურეების მოთხოვნილება ჯამაგირებს შორის იმ განსხვავების, რომელიც 1914 წლამდის არსებობდა, დაცვის შესახებ—უარყოფილი იქმნას, 2) დაევალოს პრეზიდიუმს მიმართოს სატარიფო პალატას შუამდგომლობით, რათა გადასინჯულ იქნას ტრამვაის მოსამსახურეების კატეგორიებათ დაყოფის საკითხი.

არა ნაკლები ცხარე კამათი გამოიწვია თავისუფალი დღის და კვირა დღის მუშაობისათვის ხელფასის საკითხმა. ტრამვაის ადმინისტრაცია, ემყარებოდა რა 46 საათის მუშაობის დეკრეტს და იმას, რომ მუშებს აქვთ ერთი თავისუფალი დღე კვირაში, ჰფიქრობს, რომ კვირა დღეს მუშაობა ჩვეულებრივათ უნდა დაჯილდოვდეს.

მუშების წარმომადგენელნი ამტკიცებენ, რომ თავისუფალი დღე კვირაში— სრულიადაც ვერ გასწევს კვირა დღის თავისუფლებას, კვირას მუშას შეუძლია უფრო დაიკმაყოფილოს თავისი კულტურული და სულიერი მოთხოვნილებანი, ამიტომ კვირა დღეობით მუშაობა—გაორკეცებულათ უნდა დაჯილდოვდეს.

რადგანაც სეკრეტარიატის აზრი ამ საკითხის შესახებ გაიყო, დადგენილ იქნა ეს საკითხი გადაეცეს კომისიას მის დეტალურ შესწავლისათვის.

დადგენილ იქნა იმავე კომისიას გადაეცეს გასაცნობათ ტრამვაის მოსამსახურეების ყველა დანარჩენი მოთხოვნილებანი. თავისი დასკვნა კომისიამ უნდა წარმოადგინოს სეკრეტარიატის შემდეგ სხდომაზე, რის შემდეგ უკანასკნელი გამოიტანს თავის დადგენილებას. კომისიაში აირჩიეს ამხ. ჩხენკელი, ელიაძე და დობორჯგინიძე.

მეორე საკითხი შეეხებოდა სამხედრო სკოლის ელექტრონის სადგურის მუშებს. მუშები ელექტრონის სადგურისა და სამხედრო სკოლის მექანიკური სახელოსნოებისა, და იმათთან ერთად ყველა დანარჩენი მუშები და მოსამსახურენი სკოლისა—ჩაწერილები არიან ლითონზე მომუშავეთა კავშირში, მაგრამ ადმინისტრაცია არ სთანხმდება იცნოს კავშირის კოლექტიური ხელშეკრულება. კავშირის გამგეობამ მიმართა შრომის სამინისტროს, რათა იმას განემარტა სამხედრო სკოლის ადმინისტრაციისთვის, რომ კოლექტიური ხელშეკრულება ხელმოწერილი სამხედრო უწყების წარმომადგენლის მიერ, სავალდებულოა სამხედრო სკოლისათვისაც, რადგანაც იმასთან არსებობს ელექტრონის სადგური და მექანიკური სახელოსნოები, მაგრამ შრომის სამინისტრომ განაცხადა, რომ კოლექტიური ხელშეკრულება სამხედრო სკოლაზე ვერ გავრცელდებაო. ამასთანავე შრომის სამინისტრო ურჩევდა მუშებს კოლექტიურ ხელშეკრულებისათვის იმნაირი ფორმულიროვკა მიეცათ, რომელიც გაავრცელებდა კოლექტიურ ხელშეკრულებას სამხედრო სკოლის მუშებზედაც, ამიტომ კავშირმა მიმართა სეკრეტარიატს თხოვნით, რომ მან გაარჩიოს ეს საკითხი და იპოვოს გამოსავალი შექმნილ მდგომარეობიდან, რათა კოლექტიური ხელშეკრულება გავრცელდეს სამხედრო სკოლის მუშებზედაც.

ამხ. ჩხენკელმა, რომელმაც გააკეთა მოხსენება ამ საკითხზე, აცნობა სეკრეტარიატს, რომ საბჭოს პრეზიდიუმმა გაარჩია ეს საკითხი და გადასწყვიტა ის დადებითად.

აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ სეკრეტარიატმა დაადგინა, რომ ლითონზე მომუშავეთა კოლექტიური ხელშეკრულება უნდა გავრცელდეს აგრეთვე სამხედრო სკოლის მუშებზედაც.

პროვინცია

გურიის მასწავლებელთა ცხოვრებიდან. სავალალოდ უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ გურიის სკოლებში ამ უკანასკნელ დროს თავი იჩინა ერთმა არა სასიამოვნო მოვლენამ. გამოცდილი ფხიზელი მასწავლებლობა არ რჩება სკოლებს და თავს აფარებს სხვადასხვა უწყებებში სამსახურს. მასწავლებლები თავიანთ მძიმე ეკონომიურ პირობების გამო იძულებულნი ხდებიან ლუკმა პურის ძებნაში თავი მიანებონ თავიანთ საყვარელ პროფესიას.

სკოლების მიტოვებამ ამ უკანასკნელ დროს კი მასსიური ხასიათი მიიღო, რაიც გურიის სკოლების და საზოგადოდ სწავლის საქმეს დიდ ზიანს მოუტანს. წასულ მასწავლებელთა ადგილს იჭერენ ახალგაზრდა, სპეციალურ განათლებას მოკლებულნი „კურსისტები“, რომელთა გამრავლება სკოლებში მინუსად უნდა ჩაითვალოს.

თუ როგორ ღირსეულ მემკვიდრეებათ მოევლინებიან ასეთი თვე ნახევარში მომზადებული მასწავლებლები ჩვენებურ განახლების გზაზედ შემდგარ სკოლებს —მკითხველმა განსაჯოს. აქ უნებლიეთ გვაგონდება პროფ. ნიჩაევის სიტყვები: „უკეთესია სულ არ გაიხსნას სკოლები, ვიდრე გაიხსნას სუსტ, მოუმზადებელ და ნახევრათ მშიერ-ტიტველ მასწავლებლითაო. იდეალური სახელმძღვანელოები და პროგრამები ვერას გვიშველის თუ ის, ვინც არის ცოდნის გადამცემი, ხალხში მომუშავე და კულტურულ ჩვეულებათა განმტკიცებული ვერ იქნება თავის მოწოდების სიმაღლეზეო“. უფლებიან მასწავლებელთა რიცხვი მეტად მცირეა აგრეთვე გურიის უმაღლეს დაწყ. სასწავლებლებში. მსგავსათ წარსულ წლისა, წელსაც მოეწყო ქ. ოზურგეთში ორ თვიანი კურსები მასწავლებელთა მოსამზადებლათ. კურსებზედ მრავლად არიან მსმენელებით უცენზო ორ კლასიან განათლებით, რაიც იწვევს გულის წყრომას შეგნებულ მასწავლებლებში და შლის თვალ წინ უიმედობის პერსპექტივას. გურიის მრავალი გამოცდილი მასწავლებელი აჭარის სკოლებში მასწავლებლობდენ წინეთ, მათ იქითკენ მოუწოდებენ დღესაც, მასწავლებლები კი საძებნელია. გამოუცდელი მასწავლებლებს სამაჰმადიანო საქართველოში ადგილი არ უნდა ექნეს. იმედია ამ გარემოებას შეგნებული მასწავლებლები ანგარიშს გაუწევენ.

სწავლა-განათლების საქმის და კულტურის მძიმე სადავე გურიის იდეურ მასწავლებელთა ხელში უნდა დარჩეს. და მასწავლებლებიც, რომელთაც მრავალი წელი შეუწირავთ ხალხის სამსახურისა და მოზარდ თაობის გათვითცნობიერების საქმისათვის, ანგარიშს გაუწევენ მიუხედავათ თავიანთ აუტანელ ეკონომიურ პირობებისა, სწავლა-განათლების საქმის შეფერხებას და არ დასტოვებენ თავიანთ სადარაჯოებს.

გურიის ერობამ, რომელიც გაცნობილია მასწავლებელთა სკოლებიდან ჩამოშორების მიზეზებს, უნდა მიიღოს მთავრობასთან ერთად სათანადო ზომები სანამ გვიანი არაა და სწავლის საქმე საგრძნობლად არ დაზიანებულა.

გურიის მასწავლებელთა დელეგატების ყრილობა, რომელიც შესდგება ამ დღეებში, უნდა ველოდეთ, აირჩევს ღირსეულ გზას თავისი მდგომარეობის და ღირსების დასაცავათ.

ხტ. ნიკოლაიშვილი.

ეწერ-ჯაქთუბანი. ამ სოფელში თითქმის 90% მცხოვრებისა სიმინდს ყიდულობს. წელს სიმინდის ფასი ავიდა 1800 მან., მაგრამ არც ამ ფასში იშოვება. იყო შემთხვევა:—მიდის კაცი სამტრედია, ჯიხაიშში (ბაზარია) საყიდლათ და სახლში ბრუნდება ხელცარიელი. ამ საზღაპრო სიძვირის დროს ერთი ძველი ჩვეულება კიდევ არ დავიწყებიათ: ამ სოფელში იციან 20 ივლისს (ძველი სტილით) დღეობა „ილიაობა“. წელს მიუხედავათ სიძვირისა და გაჭირვებული მდგომარეობისა, დიდის ამბით შეხვდენ ილიაობას, რაც დასაგმობია. საჭიროა მოწინავე ხალხმა შეაგნებინოს ხალხს ფართო მასას ასეთი დღესასწაულების მავნებლობა.

ამ სოფლის ერთ უბანში (პატარა ეწერი საჯვარე) არსებობს წიგნთ-საცავ სამკითხველო შოთას სახელობაზე, მაგრამ, სამწუხაროთ, ზემოხსენებული სამკითხველო სიღარიბის გამო სულს ღაფავს (ფონდი მისი ამ ჟამათ შესდგება 500 მან.) და უსათუოთ მალე გაქრება თუ დროზე არ იქნა საჭირო ზომები მიღებული.

№

ჭაგნის თემი. (სამტ. რაიონი) 15 აგვისტოს შესდგა დასახელებულ თემის საერობო ხმოსანთა ყრილობა. გასარჩევია შემდეგი კითხვები: 1) გამგეობის მოხსენება, 2) დღეობების მოსპობა. და სხვა მიმდინარე კითხვები. პირველად თავმჯდომარე ორიოდე სიტყვით მიმართავს ყრილობას დღევანდელ პოლიტიკურ მომენტზე. ის აღნიშნავს ყრილობას მუშათა დელეგაციის მიზანს საბჭოთა რუსეთში რასაც ხმოსანთა ყრილობა სიამოვნებით აღნიშნავს.

შემდეგ ამისა გამგეობას თავმჯდომარე ვ. ფოცხვერია მოხსენებას აკეთებს წასულ მუშაობაზე. მეორე კითხვამ ე. ი. დღეობის მოსპობის შესახებ გამოიწვია კამათი. იყო ორი წინადადება: 1) აეკრძალოთ მოყვრებს მოსვლა. ვინც მოიწვევს დაჯარიმდესო. 2) მოუწვეველი სტუმარი ნუ შევაწუხებენო. ხმის უმრავლესობით გავიდა მეორე.

ვინაიდან წელს გვიხდება ისეთი კულტურული საქმის კეთება როგორიც არის პირველ დაწყებითი უმაღლესი სასწავლებლის შენობის კეთება, რასაც მთავრობის დახმარების გარდა დიდძალი თანხა დასჭირდება რაც ისედაც ღატაკ ხალხს მძიმე ტვირთად დააწვება. ამის გამო ჭაგნის თემის ხმოსანთა ყრილობა ადგენს რომ წელს ღვთისმშობლობის დღეობა ძველი სტილით 8 ენკენისთვე ახალით 21 არ იდღესასწაულონ. რისთვისაც სთხოვენ ყველა მოყვრებ-ნათესავებს ჭაგნის თემისას დაუპატიჟებლათ ნუ მობრძანდებიან. რაც გადაეცა გამგეობას სისრულეში მოსაყვანათ. გამგეობამ უნდა აცნობოს ეს მახლობელ თემების გამგეობებს.

საბჭოს თავმჯდომარე: **ხევ. ხვიჩია.**

წერილი რედ. მიმართ

„ერთობის“ № 198-ში მოთავსებული იყო ჩემ შესახებ წერილი სადგურ ბეუქ-კასიქიდან, აკაკი ნინიძისა ვითომ ავადმყოფი გვარდიელი იყო უყურადღებოთ დატოვებული. საქმე შემდეგში იყო: ის ავადმყოფი, რომელზედაც სწერს ნინიძე, იყო მოთავსებული სანიტარული ვაგონში და რაც შეიძლებოდა ჩვენის მხრივ საექიმო დახმარება ვაგონში ქონდა აღმოჩენილი, ნინიძეს ეს არ დაუნახავს და არც სცოდნია, საიდგან იყო ავადმყოფი სადგურზე მოყვანილი, შემდეგ სწერს, რომ ავადმყოფი ღამის 10 საათამდე იყო სადგურზეო. საღამოს $4^1/_2$ საათი იყო, როდესაც სადგურის უფროსმა ზარი მისცა მატარებლის გამოსვლისა, ყველა გასაგზავნი ავადმყოფი იყო გამოყვანილი სადგურზე თფილისში გასაგზავნათ, მატარებელს ვუცადეთ რამოდენიმე საათი, მაგრამ არ მოვიდა ბოლოს გამოირკვა, რომ მატარებელი გადავარდნილიყო რელსიდან და გადმოგვცეს, რომ მალე ამოვიდეთ და წამოვალთო. ველოდით დაახლოვებით ათ საათამდე, მაგრამ მატარებელი არ მოვიდა და ავადმყოფი შეყვანილი იქნა ვაგონში.

ფერშალი ბეუქ-კასიქის მუშათა გუნდის **ნოე თევზაძე.**

რედაქტორი ლევან ნათაძე.

მათემატიკი
კორძახია
აძლევს გაკვეთილებს მათემატიკურ საგნებში. ალექსანდრეს ქუჩა № 45.
(2886 3—1)

ექიმი
ი. ა. ლომაური
შინაგან და ბავშვთა ავადმყოფობით შეპყრობილთ იღებს საღამოს 7—8 საათ. კირქის (კიროჩნი) ქუჩა № 6. ტელეფ. 6—80. (4— სექტ.)

ექიმი
ბ. გ. რამენდიკი
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. მკურნავი შინაგან ბავშვების და სპეციალურად კუჭისა და ნაწლევების სნეულებათა. ავადმყოფების მიღება დილის 11—12 საათ. და საღამოს 5—7 საათ. მიხეილის პრ. № 121 ტელეფონი 5—42. (თ. 2841)

სამკურნალო
ელექტრონის, რენტგენის და სინათლის
მიხეილ გედევანიშვილისა
დილით 12—2 საათ., საღ. 6—8 საათ. არის საწოლები. ყორღანოვის ქ., 20, ვერაზე. (2458—თ.)

ექიმი
ბ. ი. ოქროპირიძე
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 4—6 საათამდის რტიშჩევის ქ. № 22, სოლოლაკი)

კერძო
სამკურნალო
სპეციალურად ვენერიულ, საშარდე ორგანოების, სიფილისით და კანის სნეულებით ავადმყოფთათვის
ექიმ
ე. მ. მძინარიშვილისა
შეშხაპუნება „606“ და „914“.
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე 9—3 ს. ფასი 50 მან. უსახსროთათვის უფასოდ 9—11 ს. მისამართი—კუთხე პლეხანოვის (მიხეილის) პროსპექტისა და კირქის (კიროჩნი) ქუჩ. № 22. ტელეფ. 10—87. (2824—თ.)

ექიმი **ლ. ა. სარალიძე**
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფთ საღამოს 6—7 საათამდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა № 87, ტელეფონი 3—19. ავჭალის აუდიტორიის ახლ. (2383—თ.)

ოზურგეთში
ექიმი
ს. ვ. აბაშიძე
ღებულობს ავადმყოფებს შინაგან სენით (გულის, ფილტვების და კუჭ-ნაწლევის) სიფილის შეხაპუნება „914 და 606“. ქ. სიამაშვილის სახლში
(თ. 2634.)

ექიმი
კ. ბ. ვართანოვი
სპეციალურად კანისა და ვენერიულ სნეულება (სიფილისი „606“ და „914“ შეშხაპუნება). მიიღება: დილით 8—9 საათ. საღ. 5—7 საათ. ქალები 2—3 ს. სურამის ქ. № 9, ვაგზლის ქუჩის კუთხე, რკინის გზის სამმართველოს პირდაპირ. (2264—თ.)

ექიმი **მ. ა. შაფრანი**
სპეციალურად სიფილისი და [illegible] დები (შეშხაპუნება „606“ და „914“ ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალების 4—5 ს. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამართი: [illegible] ქ. № 33. (1288 25—4)

ექიმის
ი. ა. ტერ-ოვაკიმოვი
გადავიდა კიროჩნი ქუჩიდან მიხეილის პრ. № 23 ვორონცოვის ძეგლის ახლოს და განაახლა ავადმყოფების მიღება. სპეციალურად სიფილისი, ვენერიული ავათმყ. (გაძნელებული და ქრონიკული ტრიპერი) და კანის ავათმყ. („606“ და 914 შეშხაპუნებებით) ავათმყ. მიღება დილის 12—2 საათ. და საღამოს 6—8 ს. ქალების საღამოს 5—6 საათ.
(თ. 2577)

ექიმი
ნ. ა. არუთინოვი
სპეციალურათ სიფილისი (606 და 914, ვენერიული ტრიპერი, შარდის ორგანოების ოპერაცია ნდისკოპია (საშარდე მილის). ნოვო-ბებუთოვის ქ. № 5. სასახლის უკან, პეტრე დიდის ქ. ზევით. (პარალელურად). მიღება დილით 9—12 ს. საღ. [illegible] 6 ნახ. საათამდე. 2722—თ.

ექიმი
ე. ი. კალანდაძე
ღებულობს. შინაგანი ავათმყოფობით დილის 8—12 საათამდე ვენერიული, სიფილისით (წამ. „606“ და „914“), ბუშტის და საშარდის ავათ. 5—7 საათ. საღამ. გუნიბის ქ. № 6, მოსკოვის ქ დასაწყისი, ზემელის აფთიაქთან ახლოს
(2446—თ.)

ექიმი
ნ. ლ. ტურიაშვილი
იღებს საბებიო, ქალისა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს ყოველ დღე, გარდა პარასკევისა, შუადღის 1—2 და საღ. 4—5 ს. ჩერქეზოვის ქუჩაზე № 22 ყოფილი სასულიერო სასწავლებელი. ტელეფონი 14—13. (თ. 2539)

ექიმმა
ნიკოლოზ მახვილაძემ
განაახლა შინაგან სნეულებით ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე დილის 8—9-მდე და საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, ზემელის აფთიაქის მახლობლად.
(თ. 2528)

მიწად-მოქმედების სამინისტროს ოთხ სემესტრიანი სასოფლო-სამეურნეო უმაღლესი კურსების გამგეობა
ამით აცხადებს, რომ დაწყებულია თხოვნების მიღება 1 სემესტრზე. კურსები შესდგება სამ განყოფილებიდან: მემინდვრეობის, მებაღეობის და მესაქონლეობის. იმ პირთ, რომელნიც დაამთავრებენ აღნიშნულ კურსებს, ენიჭებათ სპეციალობის მიხედვით აგრონომ-მებაღის, აგრონომ-მემინდვრის და აგრონომ-ზოოტეხნიკის წოდება თანახმად დამფუძნებელ კრების მიერ ა. წ. 16 მარტს გამოცემულ დეკრეტისა. კურსების მსმენელათ მიიღებიან საშუალო და უმაღლეს კურს დამთავრებულნი; აგრეთვე მიიღებიან თავისუფალი მსმენელნიც. თხოვნა იწერება კურსების დირექტორის სახელზე (მთავრობის დაწესებულებათა შენობა ყოფილი კადეტის კორპუსში, სასოფლო-სამეურნეო განყოფილება) და მასთან ერთად წარდგენილი უნდა იყოს მოწმობა განათლების შესახებ და გადასახადი სამასი მანეთი (300 მ.) მსმენელთათვის და 350 თავისუფალ მსმენელთათვის. თხოვნების მიღება გრძელდება ა. წ. ოქტომბრის 1-მდე. მეცადინეობა დაიწყება ოქტომბრის 10-ს.
კურსების დირექტორი **ა. როლოვი.** (2786—2—2)

„სორაპანის“ გამოცემა
დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდათ
შემდეგი სახელმძღვანელოები
1) **ი. გველესიანი** საშუალო საუკუნეების ისტორია შედგენილი პროფ. ვასილევის სახელმძღვანელოს მიხედვით. საშუალო სკოლებისათვის.
2) **ი. გომელაური** „ქართველი მწერლები“ წიგნი მესამე (მეოთხე გამოცემა) უმაღლეს დაწყებითი სკოლის მესამე კლასის კურსი.
3) **ი. გომელაური** „ქართველი“ მწერლები“ მეოთხე წიგნი (პირველი გამოცემა) მეოთხე კლასის კურსი.
4) **ივ. გაჩეჩილაძე** „გრაფიკები“ სახელმძღვანელო უმაღლეს დაწყებითი სასწავლებლისათვის.
ამ ჟამად იბეჭდება: **„წითელი წიგნი“** ყარიბისა, **„საქართველოს ეკონომიურ ვითარებისათვის“ ს. დარიანისა.** კედლის კალენდარი 1921 წ. ჯიბის კალენდარი 1921 წ. თვიური კალენდარი 1921 წ. მოძრავი კალენდარი 1921 წ.
მისამართი: თფილისი, სტამბა „სორაპანი“ მ. გაჩეჩილაძეს. (2881 2—2)

მწერალი
მცოდნე საკანცელარიო საქმისა ქართული ენაზე საჭიროა სამხედრო სავეტერინარო საფერშლო სკოლაში.
ჯამაგირი 5000 მ. თვეში. სხვა პირობების გაგება შეიძლება ყოველ დღე 9—3 საათამდე კანცელარიაში, ნავთლუღში. (2876 2—2)

პატივცემულ საზოგადოების საყურადღებოთ
„ინტელიგენტ ქალთა ჯგუფი“
იღებს ყოველგვარ საქერავს, რომელსაც თავის დროზე ასრულებს. აგრეთვე ამავე ჯგუფთა სკოლაში, რომელიც რამოდენიმე წელიწადი არსებობს, მიიღება მოწაფე ქალები ჭრა, კერვის, ქარგვის, და სხვადასხვა ხელსაქმის სასწავლებლათ, რომლებთანაც იმეცადინებენ საზოგადოებაში ცნობილი დამსახურებული მასწავლებლები. სკოლა სრულ უფლებიანია. მეცადინეობა დაიწყება 15 ენკენისთვიდან. მისამართი: ვერის დაღმართი, № 3, ბინა 9, ეზოში. (2775—10—6)

სახალხო განათლების სამინისტროს უწყებაში მყოფი
საბუღალტერო კურსები
თ. მ. ფილოიანისა
ორთავე სქესისათვის. (თფილისი, მიხეილის პრ. № 24. ტელ. № 976), თხოვნების მიღება დილ. 10—12 საათამდე, საღ. 5—7 საათ. იხსნება ქართული განყოფილება. (2838—10—4)

საკუთარი სტამბა ერთობის ქუჩა №4.